# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 1 აპრილი, 2010 წელი.

№60 (6426)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

## სინდისის ქენჯნა მართლაც კომბალზე მტკივნეული ყოფილა!..



გიორგი არველაძის წინა-სააღდგომო განცხადება (3)

## ილია მეორე:

საქართველოს მთავრობა რომ ყურს გვიგდებდეს, ქვეყნის საქმე უკეთესად იქნებოდა (2)



## ჩვენ ვემსახურებით სამშობლოს! (6)



შემოწმებით – „შავ ხვრელში“



## 18 აღელვებული დიზაინერი და... (8)

ვის ხარჯზე ქველმოქმედ-მეცენატობს „მაგთიკომი“? (11)



## (5) სექსუალურ-პოლიტიკური შეტევა



(7) ღია წერილი ბატონ ვაჟა შუბითიძეს – „ყველა დროის 100 უდიდესი ქართველის“ პატივცემულ ავტორს.

## ვინ არის ქართველი? (4)





(7)

## ქართული პედიატრიის პატრიარქი

№ 60. ხუთშაბათი, 1 აპრილი, 2010 წელი.

ვიზიტი

## ილია მეორე: საქართველოს მთავრობა რომ ყურს გვიგდებდეს, ქვეყნის საქმე უკეთესად იქნებოდა



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის განცხადებით, „საქართველოს მთავრობა რომ მას ყურს უგდებდეს, ქვეყნის საქმე უკეთესად იქნებოდა“. ასე უპასუხა უწმინდესმა გუშინ ესპანეთის სამეფოს დეპუტატთა კონგრესის თავმჯდომარის ხოსე ბონო მარტინესის კითხვას იმის შესახებ, „რამდენად უგდებს ყურს საქართველოს ხელისუფლება პატრიარქს“.

არაოფიციალური შეხვედრა პატრიარქსა და მარტინესს შორის საპატრიარქოში გაიმართა. მას საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ზურაბ პოლოლიკაშვილი და პარლამენტის ვიცე-სპიკერი რუსუდან კერვალიშვილიც ესწრებოდნენ.

— მოხარული ვარ, რომ ესპანეთის კონგრესის თავმჯდომარე საქართველოში იყო. ეს არის იმ ისტორიული ურთიერთობის გაგრძელება, რომელიც საქართველოსა და ესპანეთს შორის წლების განმავლობაში არსებობდა. ამასთან, ბედნიერი ვარ, რომ ბატონი მარტინესისგან ესპანეთში მიწვევა მივიღე. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ის მძიმე საკითხები, რაც საქართველოს წინაშე დგას, ვგულისხმობ კონფლიქტურ რეგიონებს, ესპანეთის დახმარებით დადებითად გადაწყდება, — ბრძანა უწმინდესმა.

ესპანეთის სამეფოს დეპუტატთა კონგრესის თავმჯდომარის ვიზიტის მნიშვნელობაზე ისაუბრა ეკონომიკის მინისტრმაც. პოლოლიკაშვილის განცხადებით, ხოსე ბონო მარტინესის ვიზიტი საქართველოს მიმართ ევროკავშირის მხარდაჭერაზეც მიუთითებს. „ეს არის ესპანეთის სამეფოს დეპუტატთა კონგრესის თავმჯდომარის რანგში მარტინესის პირველი ვიზიტი და ვიმედოვნებ, რომ ურთიერთობა ესპანეთსა და ზოგადად ევროკავშირის ქვეყნებს შორის მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება“, — განაცხადა პოლოლიკაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ესპანეთის სამეფოს დეპუტატთა კონგრესის თავმჯდომარე საქართველოს არაოფიციალურ ვიზიტად გუშინ ეწვია.

არჩევანი

## სააკაშვილი თავის მემკვიდრედ ირაკლი წერეთელს ამზადებს, პრემიერ-მინისტრად — გია თორთლაძეს

როგორც სახელისუფლო „რეალტივიდან“ სარწმუნო წყარომ გვაცნობა, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სულ სხვა სამომავლო გზას ირჩევს, რაც კიდევ უფრო დააბნევს ისედაც მარტო არჩევნების იმედად დარჩენილ ოპოზიციას.

დაკვირვებული მაყურებელი უთუოდ შეამჩნევდა, რომ ირაკლი წერეთელი და გია თორთლაძე ამ ბოლო დროს სააკაშვილიზმის თავგამოდებულ მომხრეებად გამოდიან.

ახლახან ერთ-ერთ ხალხმცირე შეხვედრისას მ. სააკაშვილს დაუფარავად უთქვამს, ჩემთვის კი არა, ქვეყნისთვის არ იქნება ურიგო, თუ ჩემი საპრეზიდენტო ვადის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტად ირაკლი წერეთელს ვიხილავთ, ხოლო პრემიერ-მინისტრად — გია თორთლაძესო. მხოლოდ ამ ნამდვილ პატრიოტებს და გონიერ ადამიანებს შეუძლიათ ჩემს შემდეგ ჩვენი სახელმწიფოს ჩამოუშლელად შენარჩუნებაო.

ვნახოთ, იქნებ ახლა მაინც არ შეცდეს ჩვენი, ცოტა არ იყოს, აჩქარებული პრეზიდენტი!

საავენტო „დრო“

ინფორმაცია

## სააკაშვილს ტერორისტებთან კავშირში ადანაშაულებენ

**რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანი ნიკოლაი პატრუშევი გარდა იმისა, რომ მოსკოვის მეტროში მომხდარ აფეთქებაში „ქართული კვალის“ არსებობას არ გამორიცხავს, უფრო წინ მიდის და აცხადებს: „არ არის გამორიცხული, რომ ამ ტერაქტთან კავშირი საქართველოს სახელმწიფო ლიდერს მიხეილ სააკაშვილს ჰქონდეს“.**

— ყველა ვერსია უნდა გადაისინჯოს. მაგალითად, არის საქართველო და ამ სახელმწიფოს ლიდერი მიხეილ სააკაშვილი, რომლის მოქმედების პროგნოზირება შეუძლებელია, — აცხადებს პატრუშევი.

მისივე თქმით: „სამწუხაროდ ბევრი ქვეყანა აგრძელებს მისთვის დახმარების გაწევას, მათ შორის სამხედრო დახმარების გაწევასაც„.

— ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეს დაუშვებელია. ერთხელ მან უკვე გააჩაღა ომი და არ არის გამორიცხული, რომ კიდევ არ გააჩაღებს, — აცხადებს ნიკოლაი პატრუშევი.

## ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის დაუყოვნებლივ დანიშვნას თხოვენ

**„ქრისტიან-დემოკრატები“ პრეზიდენტს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის დაუყოვნებლივ დანიშვნას თხოვენ, განაცხადა „ქრისტიან-დემოკრატების“ წარმომადგენელმა ნიკა ლალიაშვილმა გუშინ პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე.**

**როგორც ლალიაშვილმა აღნიშნა, საჭიროა საქართველოს ხელისუფლება მომზადებული შეხვდეს რუსეთის ხელისუფლების ქმედებებს განხორციელებული ტერაქტების საპასუხოდ.**

— რუსული საზოგადოება შოკირებულია მომხდარი ტრაგედიით და ბუნებრივია, იგი ითხოვს მკაცრი ზომების გატარებას. რუსეთის მოქმედი ხელისუფლების ლოგიკაში კი თავისუფლად ეწერება სიმკაცრისა და სისასტიკის დემონსტრირება საკუთარი ხალხისა და მსოფლიო საზოგადოების წინაშე. ამ ფონზე უშიშროების საბჭოს მდივნის განცხადება „ქართული კვალის„ თაობაზე შესაძლოა გახდეს წინაპირობა ტერორიზმთან ბრძოლის დროშის ქვეშ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის დასაწყებად, — აცხადებს ლალიაშვილი.

გარდა ამისა, საგარეო საქმეთა სამინისტროსგან ითხოვენ იმას რომ „ჩვენს პარტნიორ ქვეყნებთან ერთად დაუყოვნებლივ დაიწყოს საფრთხეების პრევენციის საერთაშორისო მექანიზმების შემუშავების პროცესი“.

## მილიონზე მეტი არარსებული ამომრჩეველი?!

**„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი მელაშვილის მტკიცებით, საარჩევნო სიებში მილიონზე მეტი არარსებული ამომრჩეველია.**

როგორც მელაშვილმა გუშინ, პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, 3 მლნ 600 ათასი ამომრჩეველი, რომელიც ამომრჩეველთა სიაში ირიცხება, არარეალურია, რადგან იგივე რაოდენობის მოქალაქეებმა 1990 წელს ჩატარებულ არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა, რის შემდეგაც დღემდე ქვეყნის მოსახლეობა ერთი მილიონით შემცირდა.

აღნიშნულ კონტექსტში, „ეროვნული ფორუმი“ მოითხოვს, ამომრჩეველთა ხელახალი რეგისტრაცია ბიომეტრიული სურათების დამხარებით მოხდეს.

მელაშვილის აზრით, ეს არის გაყალბების ალბათობის მინიმუმამდე შემცირების ერთადერთი გზა.

## კვლევის შედეგებს „ფალსიფიცირებულად“ აფასებენ

**— ჩვენ უნდობლობას ვუცხადებთ ამერიკის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს. ეს ფალსიფიცირებული და გაყალბებული შედეგებია, — განუცხადა პარტიის საერთაშორისო მდივანმა ნესტან კირთაძემ ჟურნალისტებს აღნიშნული საკითხის კომენტირებისას.**

მისივე შეფასებით, ლეიბორისტული პარტია უალტერნატივო ლიდერია პოლიტიკურ პარტიებს შორის და ეს ყველა ობიექტური სოციოლოგიური გამოკითხვით დასტურდება.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა სოციოლოგიური გამოკითხვა გამოაქვეყნა, სადაც ყველაზე მაღალი რეიტინგი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს და მმართველ ძალას აქვს.

სოციოლოგიური გამოკითხვისთვის თბილისში 800, ხოლო რეგიონებში 1000 რესპონდენტი გამოიკითხა. კვლევის შედეგები უკვე ყველა კვალიფიციურ პარტიას გადაეგზავნა.

აღსანიშნავია, რომ სოციოლოგიური გამოკითხვის ორგანიზატორების მტკიცებით, აღნიშნულ მონაცემებში ცდომილება 2.3 პროცენტს არ აჭარბებს. გამოკითხვა 3-12 მარტამდე ჩატარდა, რომელიც ამერიკის საერთაშორისო სააგენტომ დააფინანსა.

## გამოკითხვის შედეგებს არც ახვლედიანი ეთანხმება

**— ამერიკის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის გამოკითხვებით გია ჭანტურიას 15-პროცენტიანი რეიტინგი აქვს, თუმცა ეს მაჩვენებელი რეალურად გაცილებით მაღალია. გასათვალისწინებელია ის, რომ კვლევა ჩატარდა მარტის დასაწყისში, ანუ მაშინ, როცა ჩვენს მეროვნის კანდიდატს საარჩევნო კამპანია დაწყებული არ ჰქონია და მას საზოგადოება კარგად არ იცნობდა,** — განუცხადა ახვლედიანმა ჟურნალისტებს აღნიშნული კვლევის შედეგების კომენტირებისას.

მისივე განმარტებით, ჭანტურიას რეიტინგი მზარდია და ეს მოსახლეობასთან შეხვედრებისას „დღითი დღე დასტურდება“.

საერთო ჯამში, ახვლედიანი კვლევის შედეგებით კმაყოფილია და აცხადებს, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა„ ერთადერთია, რომელსაც „ყველა მიმართულებით პოზიტიური ზრდა აქვს“.

ჯი-ეიჩ-ენი

დაჯერებული ვარაუდი

# აღდგომა და

**დიდი ამბები ხდება საქართველოში. ძალიან დიდი ამბები.**

**„ბარამბომ“ კანფეტების ახალი სერია გამოუშვა და ტელევიზიით ვიღაც კლოუნი უწევს რეკლამას. ნატოს გენერალური მდივანი და ვიღაც ამერიკელი პენსიონერი (ყოფილი დიპლომატი ტალბოტიძ, საქართველოს ეწვივნენ და მაგათ ვიზიტსაც ვიღაც კლოუნი უწევდა რეკლამას (ისე, გულზე ხელი დაიდე ძვირფასო მკითხველო, და თქვი: რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ნატოს გენერალური მდივანი ჩამოვა, თუ ვიღაც პენსიონერი? მაინც არაფერი არ შეიცვლებაძ. შვეიცარიაში სხვა კოლეგების მხარდამხარ ქართველმა ფიზიკოსებმაც ნობელის პრემიის ღირსი ექსპერიმენტი ჩაატარეს (აშკარად არ გაუმართლათ ბესიკ ხარანაულს და მის „ლობისტებს“ძ.**

და ყველაზე მთავარი: სააკაშვილმა № 254 განკარგულების მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოს და ქალაქ თბილისის მერის არჩევნების თარიღად 2010 წლის 30 მაისი დაასახელა. ამავე დღეს საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის შესავსებად, ჩუღურეთის რაიონში ინგა გრიგოლიაც „იბრძოლებს“.

ცხადია, რომ არჩევითი ორგანოს კანდიდატები, ძალიან ბევრ რაიმეს დაჰპირდებიან თავიანთ ამომრჩეველს. ისინი ვირტუალურად „გაზრდიან“ საარსებო მინიმუმს, „დაამყარებენ“ დემოკრატიას და ძირითად აქცენტებს გააკეთებენ ეროვნული აზრის ევროპულ ფასეულობებთან ინტეგრაციაზე.

არადა სიმართლე რომ ვთქვათ, რა სისულელეა ეს წინასაარჩევნო პათოსი. სისულელეა იმ უმარტივესი მიზეზის გამო, რომ ყველამ კარგად იცის: — პენსიის ერთი თეთრით მომატება (თუნდაც ემისიის მიზეზითძ, პირველადი მოხმარების პროდუქტზე ფასების 1 ლარით, ანუ 100-ჯერ მეტით ზრდას იწვევს, ხოლო ის, ვისაც საარსებო მინიმუმის გაზრდა არ სჭირდება, ხელისუფლებას აძლევს ხმას. სისულელეა იმის გამოც, რომ ქვეყანაში ვერც საკრებულო და ვერც ჩუღურეთის მაჟორიტარი დეპუტატი (თუნდაც ყველაზე მჭექარე ხმის მქონეძ, ვერ შეცვლის სასამართლო სისტემას და ბოლოს სისულელეა, იმიტომ, რომ ის ფასეულობები, რომლებსაც ეს ჩვენი კოსმოპოლიტები დასავლური ცივილიზაციის მონაპოვრად ასაღებენ, თავად დასავლეთისთვისაც მიუღებელია (ისე რა მაგარი სანახავი იქნება ინგა გრიგოლია ამომრჩეველთან შეხვედრაზე, როდესაც ბუნებრივ აირსა და კედლების გამაგრებაზე საუბრობს. აუცილებლად უნდა ვნახო. არა, იმიტომ კი არა, რომ „შუა ქალაქზე“ აღარ მეცინება, უბრალოდ მაინტერესებსძ.

რაც შეეხებათ ოპოზიციურ პარტიებს, მათ ხელისუფლება გააფრთხილეს, რომ თავზე „დაატეხავენ ყველაფერს, თუ ხელი არჩევნების გაყალბებისკენ წაუცდებათ“. ეს „დაპირება“ ზურაბ ნოღაიდელმა და კობა დავითაშვილმა გაახმიანეს, ხოლო ზვიად ძიძიგურმა „სადაც წვრილია, იქ გაწყდესო“ დაამატა.

ეჰ, არ მინდა გავიხსენო, მაგრამ „თუ სწორად მახსოვს“, გაყალბების წინააღმდეგ მებრძოლი პოლიტიკოსები პოლიტიკაში სწორედ მათი ყოფილი თანაგუნდელების მიერ არჩევნების ტოტალური (ვიმეორებ: ტოტალური!ძ გაყალბების შედეგად მოვიდნენ, ხოლო რაც შეეხება იმ „ადგილს, რომელიც ვიწროა და უნდა გაწყდეს“, ეგეთი ადგილი საკმაოდ ბევრჯერ იყო ბოლო სამი წლის განმავლობაში და კარგად ნახა ქართველმა ხალხმა, თუ ვინ „გაწყდა წელში“.

ასე რომ, ბევრ „ბლატაობას“ თავი დაანებეთ და რეალურ საქმეს მიხედეთ (ან „ბუტკა“ ჩადგით სადმე, ან.. რა ვიცი მე, რაც გინდათ, ის ქენითძ.

◉ როცა გონება იმარჯვებს

სირცხვილი მოგადგა, სიკვდილი განატრაო, ანდა სინდისს კბილები არა აქვს, მაგრამ კბენა კი იცისო, სწორედ ისე დამემართა იმ ავადმოსაგონარი 13 მარტის შემდეგ, რომელი 13 მარტიც ჩემთვის ნამდვილად ნავსი და ავისმომასწავებელი გამოდგა...

ამ განცხადების ჯერ დაწერამდე და მერე გამოქვეყნებამდე ბევრი უძილო ღამე გავატარე გაუთავებელ საგონებელში ჩავარდნილმა.

# სინდისის ქენჯნა მართლაც კომბალზე მტკივნეული ყოფილა!..

## გიორგი არველაძის წინასააღდგომო განცხადება

როგორც ჩანს, არც ტყუილი ომი ყოფილა თავისი შედეგიანობით ნამდვილ ომზე ნაკლებად თავზარდამცემი. გინდა იმიტირებული დაარქვი და გინდა მოდელირებული, საქმეს არც ერთი შველის და არც მეორე. მით უმეტეს, თუ ეს სატელევიზიო ტყუილი ომი ვისიმე შორსმიმავალ კარიერისტულ პოლიტიკურ მიზანზეა გათვლილი და დამარცხებას არ ითვალისწინებს.

არადა, თუ ვინმე დამარცხდა, თანაც სამარცხვინოდ, ამ ეგრეთ წოდებულ იმიტირებულ ომში, უწინარესად მე, გიორგი არველაძე, დავმარცხდი, და არა მარტო როგორც „იმედის" გენერალური დირექტორი, არამედ როგორც ადამიანი, როგორც ახალგაზრდა ქართველი კაცი, რომელმაც ბოლოს და ბოლოს იგრძნო, რომ სინდისის ქენჯნა მართლაც კომბალზე მტკივნეული ყოფილა. ასე რომ, ფორუმელთა მუქარა, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში კომბლებს ავიღებთო, სულაც აღარ მაშინებს...

სწორედაც კომბალზე ბევრად მტკივნეულმა სინდისის ქენჯნამ გადამაწყვეტინა ამ წინასააღდგომო დღეებში, რომ მთელი ქვეყნისა და ხალხის წინაშე დაუფარავად მეთქვა სრული სიმართლე და ერთხელ და სამუდამოდ ჩამომეხსნა ის სამარცხვინო ტვირთი, რასაც შავზე თეთრის თქმა ჰქვია, ანუ არცთუ სიკეთის გზით სიარული.

ეს შავზე თეთრის თქმა კი ბოლო არა ერთი და ორი წელიწადი გრძელდებოდა, თანაც იმდენად არა მარტო ჩემი სურვილით, რამდენადაც იმ ადამიანის მხრიდან ძალდატანებით, რომელი ადამიანიც ეგრეთ წოდებულმა ვარდების რევოლუციამ ჩემი პირდაპირი უფროსიც გახადა და თითოეული თქვენგანისაც.



ყველა ჩემგან ჩადენილი ცოდვის აქ ჩამოთვლა იქნებ არც იყოს აუცილებელი, რადგან ჩვენს საზოგადოებას ისედაც კარგად მოეხსენება, რა ძალადობასაც ვგულისხმობ, როცა ჩემს ცოდვებზე ვლაპარაკობ. მე, მხოლოდ რამდენიმეზე შევჩერდები.

ამჟამინდელმა სინდისის ქენჯნამ ერთხელ კიდევ წამომაგონა 2007 წლის 10 აგვისტო, როცა ზემდგომი დავალების შესასრულებლად ჩემი უშუალო მითითებით გამომცემლობა „სამშობლოს" შენობიდან პირდაპირ ქუჩაში გამოვყარეთ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ათობით რედაქცია, გაზეთები, ჟურნალები, ტელევიზიები, თანაც ისე, რომ არც დავლაპარაკებივართ და დღემდე არც ერთის შემდგომი ბედით არ დავინტერესებულვართ. ამას მოჰყვა მწერლების გამოყრა მაჩაბლის ცამეტიდან (ისევ ცამეტი!) და კომპოზიტორთათვის კუთვნილი ბორჯომის სახლის წართმევა...

რაც შეეხება 13 მარტის „იმედის" არხით გამართულ ეგრეთ წოდებულ იმიტირებულ ომს, მასთან, თითქმის იმდენივე კავშირი მაქვს, რამდენიც 2008 წლის 7 აგვისტოს ომთან. ეს „ომი" როგორც ის აგვისტოს ომი, სულაც „იმედის" რედაქციაში არ დაგეგმილა და სულაც ჩემს თავში არ გაჩენილა ამ ომის „გაჩაღების" საშინელი აზრი. „იმედის" თანამშრომლები ჩემი „მხედართმთავრობით" მხოლოდ შემსრულებლები აღმოვჩნდით. მთავარზბანაკი და დიდი ამირსპასალარი გარედან ხელმძღვანელობდნენ „იმედს", რომელსაც ერთ-ერთმა ქართულმა გაზეთმა 13 მარტის შემდეგ სრულიად სამართლიანად „ელდა" უწოდა.

ამ ჩემი საჯარო განცხადების ერთ-ერთი მთავარი მიზანიც სწორედ ის არის, რომ ისედაც ბევრი რამით თავზარდაცემულ ჩვენს საზოგადოებას ბოდიში მოვუხადო, დიახაც იმ ელდის გამო, 13 მარტის ჩვენმა იმიტირებულმა თუ მოდელირებულმა ომმა რომ დასცა, და კიდევ იმის გამო, რომ მე ფაბრიკაცია ვუწოდე ჩემი და ეკა წამალაშვილის საუბარს, რომელშიც მიშა, ანუ ჩვენი პრეზიდენტი ვახსენე.

ეს საუბარი ნამდვილად შედგა, ისევე როგორც ნამდვილად შედგა პრეზიდენტისა და კულტურის მინისტრის საუბარი, რომლის ერთადერთი მიზანი ის იყო, რომ პრეზიდენტი, როგორც ბევრ სხვა სამარცხვინო და თავისმომჭრელ საქმეში, აქაც, ამ სატელევიზიო ომშიც, უცოდველი გამოჩენილიყო. თვითონ პრეზიდენტის ერთი საყვარელი ფრაზისა არ იყოს, რომელსაც ის ძალიან ხშირად ყასიდად იმეორებს, ჩვენი ხალხი ნამდვილად ბრძენია და იშვიათად რომ რამე შეეშალოს.

წინასწარ ვიცი, ამ ჩემს განცხადებას რაც მოჰყვება, ვიცი, ვინც დამიძახებს და რასაც მეტყვის. თუმცა, ის მონადმქცეველი შიში, რომელმაც ბოლო წლების მანძილზე არაერთ ცოდვაში ჩამადგმევინა ფეხი, ისე გამიქარწყლა ამ წინასააღდგომო სინდისის ქენჯნამ, რომ თავს აშკარად ბედნიერად ვგრძნობ. და ყველა ჩემს აწ უკვე ყოფილ თანაგუნდელსაც მოვუწოდებ, ნუ უგულებელყოფენ თავიანთი სინდისის ხმას. თუ, რასაკვირველია, სინდისი კიდევ შერჩენიათ. ამასვე მოვუწოდებ ჩვენს პრეზიდენტსაც, ვისაც მალე ჭრა უყვარს, მაგრამ მერე დიდხანს სინანული სულაც არა სჩვევია.

დასასრულ, მადლობა უნდა ვუთხრა მამაჩემს – ტახირ არველაძეს, რომელიც ბავშვობიდან იმ აზრით მზრდიდა, რომ მამის წინ მორბენალ კვიცს ან მგელი შესჭამს ან მგლისფერი ძალლი. და კიდევ იმასაც ხშირად მახსენებს, რომ ჭკვიანი კაცის სიტყვას რეგვენი კაცის ყურში სძინავს.

იმედი მაქვს, ამ ჩემს განცხადებას ტელევიზიებიც დაუყოვნებლივ გადასცემენ და ჟურნალ-გაზეთებიც დაბეჭდავენ.

ძირს ყოველგვარი ძალადობა! გაუმარჯოს ნამდვილ დემოკრატიას! გზა – მართალ სიტყვას!

სხვანაირად ყველას უკლებლივ ჯოჯოხეთში მოხვედრა გვიწერია.

ბევრს ალბათ, სახტად დატოვებს ეს ჩემი განცხადება, მაგრამ მე ძველი გიორგი არველაძეობა აღარ მინდა.

განახლებული სიყვარულით

**გიორგი არველაძე,**
ყოფილი „იმედის"
(ახლა „ელდის")
ყოფილი გენერალური
დირექტორი

2010 წლის 31 მარტი.

◉ სამთავრობო კარუსელი

## მოსალოდნელი დიდი საკადრო ცვლილებები

გუშინ პრეზიდენტის სასახლიდან გამოჟონა, რომ მიხეილ სააკაშვილი დიდ საკადრო ცვლილებებს ამზადებს.

ასე, მაგალითად, თავდაცვის მინისტრად, ალბათ, ჩიორა თაქთაქიშვილი მოგვევლინება, რომელსაც მოადგილეებად ეყოლება ეკა ხერხეულიძე და ხათუნა ოჩიაური.

როგორც ჩანს, თეა თუთბერიძეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრად ვიხილავთ, რომლის მოადგილეობასაც მარიკა ვერულაშვილს უპირებენ.

ჯანმრთელობის მინისტრი გახდება მაგდა ანიკაშვილი.

ამ ცვლილებებს პრეზიდენტი თურმე 8 მარტისთვის ვარაუდობდა, მაგრამ შემდეგ გადაუფიქრებია და ახლა აღდგომის დღეებში ეპირება ჩანაფიქრის განხორციელებას!

არ არის გამორიცხული, რომ სააკაშვილი ამ ცვლილებებს უკრაინის ახალი პრეზიდენტის იანუკოვიჩის ჯიბრზე ახდენს, რომელსაც თავის მთავრობაში არც ერთი ქალი არა ჰყავს, რის გამოც ოპოზიცია მწვავედ აკრიტიკებს. თუმცა, როგორც ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, ამით სააკაშვილი თითქოს იმეორებს თავისი პირველი პრეზიდენტობისას პირველი მთავრობის დაკომპლექტების დროს აღებულ კურსს – მთავრობაში რაც შეიძლება მეტი ქალი უნდა იყოსო.

იქნებ იმიტომ, რომ კაცებისგან ვერაფერი ხეირი ვერ ნახა!

სააგენტო „დრო"

◉ ინფორმაცია

## საქართველომ სამი დაკავებული გაათავისუფლა

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, საქართველომ კიდევ სამი დაკავებული გაათავისუფლა.

— ორი მათგანი რუსეთის მოქალაქეა. ზაურბეკ ხესტანოვი ჩრდილო ოსეთის ქალაქ ალაგირის მაცხოვრებელია, თემურ ამზოევი კი ნიჟეგოროდის ოლქის ქალაქ ძერჟინსკის მაცხოვრებელი. ერთი კი არცეველი გონერი ტოროშელიძე სამხრეთ ოსეთის მოქალაქეა, — იუწყება კომიტეტი და აღნიშნავს, რომ გათავისუფლებულების ე.წ. სამხრეთ ოსეთის უშიშროების თანამშრომლებისათვის გადაცემა ერგნეთის დასახლებულ პუნქტთან მოხდა.

ზაურბეკ ხესტანოვმა ოსურ მედიასთან საუბარში აღნიშნა, რომ ქართველმა სამართალდამცავებმა იგი ე.წ. ოკუპირებული ტერიტორიების მონახულების წესის დარღვევის გამო დააკავეს. მისივე თქმით, მას ქართველმა სამართალდამცავებმა რუსეთის მოქალაქეობაზე უარის თქმა და საქართველოს მოქალაქეობის მიღება შესთავაზეს. ამისათვის კი მას საქართველოში ბინას და პრესტიჟულ სასწავლებელში სწავლას დაპირდნენ.

თემურ ამზოევი კი აცხადებს, რომ მას ქართველმა სამართალდამცავებმა გათავისუფლებისას საბუთები არ დაუბრუნეს. იგი, მისი თქმით, ქართველმა სამართალდამცავებმა 2009 წლის აგვისტოში დააკავეს, მაშინ როდესაც მას შვილიშვილი საქართველოში სასწავლებლად მიყავდა.

ჯი-ეიჩ-ენ

◉ დაჯერებული ვარაუდი

# ხვალეო!

რაც შეეხება თბილისის მერის პოსტზე, ხელისუფლებისგან წარსადგენ კანდიდატს, არ გაგიკვირდეს, ძვირფასო მკითხველო, რომ ის გიგი უგულავა არ იყოს.

დიახ, გიგი უგულავა, მიუხედავად მისი „თავდაუზოგავი შრომისა", სრულიად შესაძლებელია, რომ თბილისის მერობის კანდიდატი ვერ გახდეს.

ალბათ იკითხავთ, თუ რა მაძლევს ამ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას.

არ დავიწყებ „ლათაიებს" იმაზე, თუ რა დაპირისპირება არსებობს მერაბიშვილსა და უგულავას შორის, თუ როგორ ამოუვიდა ყელში სააკაშვილს უგულავას პიარი და როგორ არ აწყობს „კარგად გაპიარებული", თბილისელების „სიყვარულის" მომპოვებელი და, რაც მთავარია, არჩეული მერი. არაფერს ვიტყვი იმაზე, თუ როგორ სურს დღევანდელ ხელისუფლებას „ჩააჩოჩოს" ყველა „სოროსული" დაჯგუფება (სხვათა შორის „გრანტიჭამიების" პატრონებსაც სურთ კომპრომეტირებული და დისკრედიტებული „თავისუფლების ინსტიტუტის" ჩანაცვლება სხვა დაჯგუფებით. ამიტომაც „მიიტუქსა" და თავის საწყის „ბუდეს" დაუბრუნდა „გასაფრენად გამზადებული" ალასანიაძ.

აღარაფერს ვიტყვი, რადგანაც ამაზე უკვე ვწერდი.

დღეს კი, ამ ჩვენი უსაქმური პოლიტოლოგებისგან განსხვავებით, საკმაოდ მარტივ ფორმულას შემოგთავაზებთ.

ხელისუფლებამ განაცხადა, რომ თავის კანდიდატს 3 აპრილს დაასახელებს.

3 აპრილი შაბათია, თანაც აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის წინა დღე.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი ხელისუფლება, ყველა არაორდინარულ გადაწყვეტილებას პარასკევს საღამოს, ან შაბათს დღისით იღებს.

მათს ამგვარ ქმედებას საკმაოდ მარტივი მიზეზი აქვს: შაბათ-კვირა დასვენების დღეებია. მასობრივი საინფორმაციო საშუალებები მოსახლეობას სრულ და ამომწურავ ინფორმაციას ვერ აწვდიან.

აბა ამ „ფონზე" წარმოიდგინეთ, თუ რა „შესანიშნავი დროა" აღდგომის დღესასწაულის წინა დღე. ხომ აბსოლუტურად ზედგამოჭრილია ყოვლად დამაბნეველი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად!

ამიტომ სრულიად მოსალოდნელია, რომ უგულავას მთელი თავისი სირბილი „წყალგამტარ" სახურავებსა თუ ახლადდაგებულ ასფალტის საფარზე, სულ ტყუილად ჩაუაროს (თანაც ეს სუბელიანიც რა სავალალო დროს წავიდა „არათბილისელ" დევნილებთან შესახვედრად და მათთვის ხელისუფლების „მზრუნველი ხელის გადასაფარებლად"ძ.

ისევ ე.წ. ოპოზიციას დავუბრუნდები და ვიტყვი, რომ მას ხელისუფლებაზე უკეთესი მდგომარეობა აქვს.

ჯერ ერთი, ბურჯანაძე ხელს არ უშლის. ის არც ბოიკოტისკენ მოუწოდებს ვინმეს და არც არჩევნებში მონაწილეობას არ ურჩევს (ანუ ამბობს: — რაც გინდათ, ის ქენით, „თავშიც ქვა გიხლიათო"ძ.

ნათელაშვილი ფიქრობს და არ გაგიკვირდეთ, თუ 3 აპრილს მანაც დაასახელოს ვინმე კანდიდატი.

„გაერთიანებული ოპოზიცია" მთელს საარჩევნო პერიოდს, „ალიანსის ჩაძირვას" მოახმარს და პრაიმერსაც ჩატარებს. ზუსტად ვერ გეტყვით, როდის. სავარაუდოდ შეიძლება 6 ივნისს ჩაატარონ, რადგანაც 6 ივნისის შემდეგ, კვირა დღე 13 რიცხვში უწევს. 13 კი „თარსია". მერე დაცხება, ოპოზიცია როგორც ყოველთვის „არდადეგებზე წავა" და სექტემბრის აქციებისთვის მოემზადება.

ქრისტიან-დემოკრატებს ჩუღურეთის მაჟორიტარი დეპუტატის მანდატს მისცემს ხელისუფლება და მათ უკვე ძალიან „ძლიერი ხმა" ექნებათ პარლამენტში.

ასე რომ, ვინც არ უნდა დაასახელოს ხელისუფლებამ 3 აპრილს, ფაქტობრივად არაფერი არ შეიცვლება.

არ გჯერათ?

აღდგომა და ხვალეო!

**გია გაბრიჭიძე**

◎ შეკამათება

# ვინ არის ქართველი?

## პასუხად ბატონ ანზორ შონიას

***გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ა.წ. 17 მარტის ნომერში გამოქვეყნდა ბატონ ანზორ შონიას წერილი „საქართველოს მოქალაქე და ქართველი სხვადასხვა ცნებებია", რომლითაც ავტორი ეხმაურება ამავე გაზეთის 12-13 იანვრის ნომრებში გამოქვეყნებულ ჩემს წერილს „მიზეზი და შედეგი: სად იღებს სათავეს კატასტროფა". თავის ისტორიული წიაღსვლებით მდიდარ წერილში ოპონენტი საკამათოდ ხდის ცნება „ქართველის" ზოგადეროვნულ ინტერპრეტაციას და გაუმართლებლად მიაჩნია საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნოსისადმი მისი თანაბრად მიკუთვნება. გავრცელებული მცდარი აზრის გასაბათილებლად, თითქოს ადამიანის ეროვნება მისი ენისა და სარწმუნოების მიხედვით უნდა განისაზღვროს, მე ვწერდი:***

**„ლოგიკური" ჩანს, რომ საქართველოს მოქალაქე ოსები, აფხაზები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვა ეთნოსები, რომლებსაც საკუთარი ენები და სარწმუნოებები აქვთ, ქართველებად არ ჩაითვალონ, მაგრამ რა ვუყოთ მეგრელებს, სვანებს, წოვა თუშებს, რომელთაც თავთავიანთი ენებიც აქვთ, ან აჭარლებს, რომელთა ნაწილი მუსულმანები არიან, აგრეთვე ხევსურებსა და ფშაველებს, რომლებიც, ქრისტიანობასთან ერთად, წარმართულ წეს-ჩვეულებებსაც ინარჩუნებენ, — ქართველებად არ ჩავთვალოთ?.. საზოგადოება, რომელიც დღეს ეთნიკურად განსხვავებულ ადამიანთა ერთობას წარმოადგენს, ხვალ, სათანადო სახელმწიფოებრივი და ისტორიული პირობების წყალობით, ერის მომავლის ასპექტად გადაიქცევა. ამ თვალსაზრისით, საქართველოს მოქალაქე ოსები, აფხაზები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვა ეთნოსები პოტენციური ქართველები არიან. თუმცა არა, დღესვე რეალური ქართველები არიან, რადგან ქართველი ეთნიკური ცნება არ არის. ასეთი ეთნოსი არ არსებობს. ეთნიკური არის ქართლელი, რომელმაც შექმნა „საქართველო", ქართველი სახელმწიფოებრივი ცნებაა, რაც ოდესღაც „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან არაგაწამდე" ყველა მცხოვრებს ერქვა და დღეს დარჩენილი საქართველოს ყველა მცხოვრებს ჰქვიათ, მაგრამ ვიღაცები არ ანებებენ, რომ ერქვათ".**

ბ-ნი ანზორი მსაყვედურობს: **„ამისთანა რამ შეიძლება დაეწერა კაცს, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს საქართველოზე, ქართველ ხალხზე, საქართველოს იტორიაზე, მაგრამ ბატონ ომარის დონის პიროვნებისგან ამას ნამდვილად არ მოველოდი. ჯერ ერთი, როგორ შეიძლება ქართველმა კაცმა სომხებთან, ოსებთან და აზერბაიჯანელებთან ახსენოს აფხაზები — ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ამას დღევანდელი აფხაზი მეცნიერი წერდეს".**

ვერ ვიტყვი, რომ ქართველ ხალხზე და საქართველოს ისტორიაზე წარმოდგენა არა აქვს, მაგრამ არ მესმის, რატომ არ შეიძლება, ქართველმა კაცმა სომხებთან, ოსებთან და აზერბაიჯანელებთან ახსენოს აფხაზები? სომხები, ოსები და აზერბაიჯანელები, რა, საქართველოს უკანონო შვილები არიან? ოსები, თავიანთი სეპარატისტობით, თვითონ ახსენებენ თავიანთ თავს აფხაზებთან, მაგრამ აზერბაიჯანელებმა და სომხებმა რა დააშავეს?

ჟურნალისტ ჯაბა ხუბუას აღწერით, მაგალითად, სომხები „უმზეოდ გარუჯულები" არიან. და პარტია „თეთრების" ლიდერი თემურ შაშიაშვილი, ბუნებრივია, წინააღმდეგი იქნება, რომ მათ ქართულად გადაიკეთონ გვარები: ასე ხომ შეიძლება ისინი კახელებში აგვერიონ?! თუმცა „ოპოზიციის" უპარტიო ლიდერის გოგა ხაინდრავას გაგებით თუ გაუგებრობით, კახელები კი არა, ქართლელებიც სომხები არიან: „დღეს საქართველოს ეთნიკურადაც და პოლიტიკურადაც, პრაქტიკულად, სომხური ლობი მართავს! პირდაპირ და ღიად ვაცხადებ ამას! გვარებსაც გისახელებთ: სააკაშვილი, მერაბიშვილი, ბოლაური, ნალბანდოვი, ბეჟუაშვილები!"

უკანასკნელი ოთხი — რაზეა ლაპარაკი! მაგრამ პირველი ორი? ბ-ნი მიხეილის მამისეულ ხაზზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ დედის ხაზით რომ არ უჭირს, ჯოზ ბაიდენმაც კი იცის: ამის გამო არ მიუთანაგრძნო მან ქალბატონ ნინოს და მზია ბეგიას ირონიული ღიმილით: „რა, შვილი არ გიჯერებთო?" ბ-ნ ელიზბარ ჯაველიძის ცნობით, ბ-ნი მიხეილი ბავშვობაში „დედიკოს შვილი" ყოფილა და იმ ამერიკაში ისეთი რა გაუკეთეს, რომ სამგლე კვიცივით დედის წინ სირბილი დააწყებინეს?!

ისე, არც სომხები, ოსები და აზერბაიჯანელები გვყავანან დიდი ხვითოები. მაგრამ ამ აფხაზებმა რა ერბოკვერცხი შეგვიწვეს ხელისგულზე?!

ბატონი ანზორ შონიას აზრით, **„ისტორიული აფხაზები ქართველები იყვნენ, მეგრული ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლები, ისევე, როგორც ლაზები და ჭანები... უფრო მეტი, თანამედროვე აფხაზებიც ეთნიკურად ძირითადად ქართველები არიან. მართალია, მათში უმნიშვნელო რაოდენობით (დაახ. 8-10 %) ურევია ჩრდილო კავკასიელები, მაგრამ ეს ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს აფხაზების ეთნოსზე. ამდენად, აფხაზები ფაქტობრივად ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც კახელები, იმერლები, გურულები, აჭარლები და ა.შ., მაგრამ სამწუხაროდ, ისტორიული გაუგებრობის შედეგად კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა აფხაზების ქართველობა, რასაც მივიჩნევ ქართველი პოლიტიკოსებისა და მეცნიერების მიერ დაშვებულ ეროვნული მნიშვნელობის უმძიმეს შეცდომად".**

ჩემი ფიქრით, არა მარტო ისტორიული, არამედ თანამედროვე აფხაზებიც, ჩრდილო კავკასიელების (დაახ. 8-10 %-ისძ ჩათვლით, ქართველები იყვნენ და არიან, ოღონდ ეროვნულად და არა ეთნიკურად (შესაძლოა, ეთნიკურადაც, მაგრამ ამჯერად ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ქართველობა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ეროვნული ცნებაა და არა ეთნიკური. ეროვნული თვალსაზრისით კი, აფხაზებთან ერთად, საქართველოს მოქალაქე სომხები, ოსები და აზერბაიჯანელებიც ქართველები არიანძ.

„ქართველი", როგორც ზეეთნიკური ცნება, საქართველოს ყველა მცხოვრებს მიესადაგება, როგორც, მაგალითად „რუსეთელი" რუსეთის ყველა მცხოვრებს, „შვეიცარიელი" შვეიცარიის ყველა მცხოვრებს, „ბელგიელი" ბელგიის ყველა მცხოვრებს და ა.შ. ბელგიელების ცნება, მაგალითად, ბელგიის სახელმწიფო ერთიანობასთან არის დაკავშირებული. ბელგიის სახელმწიფო ფლანდრიად და ვალონიად რომ დაიშალოს, რასაც ესწრაფვიან ფლანდრიელი ნაციონალისტები, ბელგიელობის ცნება აღარ იარსებებს. ამ ნაციონალისტებს დღესაც არ ეპიტყვიანება ფლანდრიელობა: არა, ჩვენ ფლანდრიელები ვართ. ზანა ასევე არ იყო საქართველოში, სანამ მეფე ბაგრატ III-მ ამ ეთნიკურ სახელმწიფოდ გააერთიანებდა, და მერე, სანამ ქართული სახელმწიფო, საქართველოს სახელით, გაერთიანებული აღდგებოდა?!

გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილი „ზოგიერთი რამ": „აბა დიდახან ქართველო-ტომო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღივ-გაღმოდებულის ქართლელის მეტმა (ე.ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმაძ შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო... იმერელი იმერელია, გურული - გურულია, მეგრელი — მეგრელია, ქართლელი — ქართლელია, და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან"..


საქართველოს მოქალაქე და ქართველი სხვადასხვა ცნებებია

„ქართველი" საქართველოს ერთიანობამ შექმნა და ერთიანობის შეგნება ინახავს მას. ერი მარტოოდენ წარსული არ არის, იგი მომავალიც არის. ამ გაგებით, ერი დაუსრულებელი ქმნადობაა, რომლის დროს ადგილი აქვს ახალი ეთნიკური ელემენტებით მის შევსებას და განახლებას, რაც, დიდი ილიას თქმით, მისი უკვდავების საწინდარია. ერის ქმნადობის პროცესში სხვადასხვა ეთნოსი მეტ-ნაკლებ როლს ასრულებს, მაგრამ ყველანი ერთნაირად ჯილდოვდებიან ერის სახელით. პატრიოტიზმიც ის არის, რომ ერთმანეთს ხელი არ შევუშალოთ ამ ჯილდოს მიღებაში და საერთო საქვეყნო საქმის კეთებაში.

ბატონ ანზორს ჩემი გამონათქვამი — **„რა ვუყოთ მეგრელებს, სვანებს და ა.შ., — ქართველებად არ ჩავთვალოთ?"** — ისე გაუგია, თითქოს მე ეჭვი მეპარებოდეს მათს ქართველობაში. სინამდვილეში, პირიქით არის: მეგრელების, სვანების, წოვა თუშების, აჭარლების, ხევსურებისა და ფშაველების ქართველობა აქსიომად მიმაჩნია, რომლითაც ვცდილობ ოსების, აფხაზების, სომხების, აზერბაიჯანელებისა და საქართველოს ყველა მოქალაქის ქართველობაც დავამტკიცო, რადგან, ეროვნულ ენასთან ერთად, ეთნიკური ენის ქონაც, დიდი ილიას მოწმობით („არც ერთობა ენისა..."ძ ქართველობას არ გამორიცხავს. სწორედ ამას გულისხმობს რიტორიკული კითხვა **„რა ვუყოთ მეგრელებს, სვანებს, წოვა თუშებს, რომელთაც თავთავიანთი ენებიც აქვთ..., — ქართველებად არ ჩავთვალოთ?"**

მაგრამ პატივცემული ოპონენტი ენაზე ხელჩაჭიდებული მაცლის: „რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ბატონ ომარს მეგრული და სვანური ენები ქართული ენისაგან ისეთივე განსხვავებული ენები ჰგონია, როგორც სომხური, აზერბაიჯანული და ოსური ენები, ხოლო რამდენადაც ის არ ცნობს ქართველ ეთნოსს და მხოლოდ ქართლელს მიიჩნევს ეთნოსად, ეტყობა მეგრელსა და სვანს სხვადასხვა ეთნოსებად განიხილავს. დასამატებელია, ალბათ, რომ ეს არავის არ ეპატიება. არადა, მან უნდა იცოდეს, რომ მეგრელი და სვანი ქართველი ეთნოსის, ქართული ენის, ქრისტიანული სარწმუნოების მქონე ჭეშმარიტი ქართველები არიან, ხოლო მეგრული და სვანური ენები უძველესი ქართველური ენებია".

მეგრული და სვანური ენები ქართული ენისაგან ისეთივე განსხვავებული ენები როგორ მეგონება, როცა სომხური და ოსური ინდოევროპული ენებია, აზერბაიჯანული-თურქული, ხოლო მეგრული და სვანური კი - ქართველური, ოღონდ ენები და არა დიალექტები! თუ უკრაინულსა და ბელორუსულს, რომლებიც გაცილებით ახლოს დგანან რუსულთან, ვიდრე მეგრული და სვანური ქართულთან, ენები ჰქვიათ, მეგრულმა და სვანურმა რაღა დააშავეს, რომ ენებად არ ჩაითვალონ?! ვიღაცებს ეს აზრი ეროვნულ საშინელებად ეჩვენებათ, იმის გამო, რომ ენობრივი ფაქტორი ეროვნულობის კრიტერიუმი ჰგონიათ. მაგრამ საკმარისია, ეს ცდომილება უკუვაგდოთ, რომ ყველაფერი თავის ადგილას დადგეს. ამისათვის კი საჭიროა შევიგნოთ, რომ ერი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნია და არა ეთნიკურ-ენობრივი ფენომენი. ეთნოსისა და ერის ცნებების აღრევა იმითაც არის გაუმართლებელი, რომ ერს ახლად შემომატებულ ადამიანებს, რომლებიც სინამდვილეში ერთ ერს ეკუთვნიან, აჯერებს, თითქოს ეროვნულად სხვები არიან და იწყება „თვითგამორკვევისათვის" ბრძოლა და სეპარატისტული ალიაქოთი. ეროვნება, როგორც მოქალაქეობა, ევროპულ-დასავლური გაგებით (და ქართველებიც ხომ ევროპასა და დასავლეთს მივეკუთვნებით!), სახელმწიფოსადმი კუთვნილებით განისაზღვრება და არა ეთნოსისადმი კუთვნილებით. ამიტომაც, საქართველოს მოქალაქე ოსები, აფხაზები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვები ისეთივე ქართველები არიან, როგორც ქართლელები, კახელები, იმერლები, მეგრელები და ა.შ. რა არის აქ გაუგებარი და გასაკვირი?! გასაკვირი და სამწუხარო ის არის, როდესაც ერთი ეთნოსი მეორე ეთნოსს ქართველობით თავს აჭარბებს იმის გასამართლებლად, რომ თვითონ სახელმწიფოებრივ ეთნოსად ერქვას, სხვებს (სხვებსძ კი — მათი მომსახურე ეთნოსი. ამის შედეგია არა მარტო ოსებისა და აფხაზების გაუცხოება, არამედ აგრეთვე მილიონობით ქართველის სამშობლოდან გადახვეწაც, ქვეყნის დაშლა-გაპარტახება და, საბოლოო ჯამში, სხვა ერების მომსახურე „ერად" ქცევა. უპირატესობა ბუმერანგივით არის: უკან გიბრუნდება დამცრობად და დევნილობად. ეს მოხდა აფხაზეთშიც! ღირსების შენარჩუნების გარანტი ურთიერთპატივისცემა და თანასწორობაა.

მართალია, აფხაზებს ისტორიულად განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით საქართველოს ისტორიაში: საქართველოს გაერთიანებას დედით აფხაზმა ბაგრატ III-მ დაუდო სათავე 1010 წელს, ზუსტად 1000 წლის წინათ (!ძ, რაშიც, თუ არ ვცდები, აქტიური როლი სწორედ დედამ, აფხაზეთის დედოფალმა შეასრულა, ამიტომაც პირველ ადგილზე აფხაზები მოიხსენიებოდნენ ქართველი მეფეების ტიტულატურაში - „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა". აქედან მომდინარეობს ცნებები „საქართველო" და „ქართველი" და შეიძლება ითქვას, რომ პირველი „ქართველები" აფხაზები იყვნენ. ცხადია, არც ოსების ღვაწლის დავიწყება შეიძლება: ისტორიკოს გიორგი მელიქიშვილის თქმით, ჯერ კიდევ II საუკუნეში, ფარსმან II-ს მეფობის ხანაში, „ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები მეომარი ალანების — დღევანდელი ოსების წინაპრების — მტკიცე კავშირი ქართლის მმართველებს საშუალებას აძლევს ერთდროულად დაუპირისპირდნენ იმ დროს ძლევამოსილ სახელმწიფოებს — რომსა და პართიას". მაგრამ ეს მაინც უფლებას არ გვაძლევს, დავახარისხოთ საქართველოს მოსახლეობა, ანუ ქართველი ერი „პირველი ხარისხის ქართველებად" და „მეორე ხარისხის" თუ „უხარისხო ქართველებად", ან საერთოდ „არაქართველებად".

გიორგი მელიქიშვილისავე აზრით, ტერმინ „ქართველის" და „საქართველოს" გაჩენა სწორედ X საუკუნეში ხდება სრულიად საქართველოსა და მისი მოსახლეობის აღსანიშნავად, ხალხის მთელი იმ წრის აღსანიშნავად, რომელიც ქართულ ქრისტიანობას, წირვა-ლოცვას ქართულ ენაზე მისდევდა. გავიხსენოთ X ს. ქართველი მწერლის გიორგი მერჩულეს ცნობილი გამოთქმა „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების" — ე.ი. ქართლია (საქართველოძ ყველგან, სადაც ღვთისმსახურება ქართულ ენაზე სრულდება... ეს გარემოებაც ჩვენი თაობის საპატიო მოვალეობად ხდის აღნიშნოს ერთიანი ქართული სახელმწიფოს ათასწლოვანი იუბილე".

ოპონენტისადმი პატივისცემით

**ომარ ხახაშვილი**

◎ ცვლა

# ვინ იქნებიან ახალი ელჩები

წუხელ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩვენმა კორესპონდენტმა შეიტყო, რომ მალე კამერუნში საქართველოს ელჩად დაინიშნება პარლამენტის უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ წიკლაური, ტანზანიაში — ასევე პარლამენტის ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი, ხოლო ზიმბაბვეში — პარლამენტის საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილი, როგორც ამბობენ, გიორგი (გოკაძ გაბაშვილი თავის მამას — კოტე გაბაშვილს შეცვლის იტალიაში (კოტე, ალბათ, პენსიაზე გავა და მილანში დარჩებაძ.

ჩანს, იმ ნიშნით რომ ერთგვარად კახეთს წააგავს ლუქსემბურგის საჰერცოგო, იქ საქართველოს ელჩობა ნაციონალების პარტიის გენერალურ მდივანს პეტრე ცისკარიშვილს მოუწევს.

უეჭველად ფრიად ღრმა ჩანაფიქრია იმ გადაწყვეტილებაში, რომ აფხაზეთის თვითაღიარებულ სეპარატისტულ რესპუბლიკაში წარმომადგენლის მძიმე ხვედრი ერგო შოთა მალაშხიას, ხოლო ე. წ. სამხრეთ ოსეთში — თემურ იაკობაშვილს.

უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს ხელისუფლება აღიარებულ რეგიონებთან კონფედერაციის ფორმირების გზას დაადგა.

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს გივი თარგამაძეს კი, როგორც სანდო წყარო გვაცნობა, ალბათ დანიშნავენ უკრაინაში საქართველოს საელჩოს სამხედრო წარმომადგენლად აღმოსავლეთ უკრაინის საკითხებში.

◎ ვის — წინ, ვის — უკან

# უგულავა არჩევნებს გამოეთიშება?

თბილისის მერიაში ახლა ყველა იმაზე ლაპარაკობს, რომ გიგი უგულავას პრეზიდენტი ამ დღეებში აჭარაში გადაიყვანს ლევან ვარშალომიძის ადგილას, ხოლო თვითონ ვარშალომიძეს ვიცე-პრემიერობას უპირებენ გიორგი ბარამიძის მაგივრად. რაც შეეხება გიორგი ბარამიძეს, იგი ოკუპაციის მუზეუმის დირექტორი გახდება.

პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ამ მუზეუმს, როგორც ფილიალი, შეუერთდება გორში ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი.

სააგენტო „დრო"

გლობუსი

# სექსუალურ-პოლიტიკური შეტევა

**საქართველოს მოსახლეობა რომ კარგა ხანია ფსიქოლოგიური პრესის ქვეშ იმყოფება, ყველასთვის ნათელია. ჩვენი დასავლელი „მეგობრების“ მეცადინეობითა და ხელისუფალთა ხელშეწყობით მიმდინარეობს შეტევა ყველა მიმართულებით, მათ შორის არც ინტიმური ცხოვრებაა უყურადღებოდ მიტოვებული, პირიქით მას სპორტულ ღონისძიებებსა და უფასო საჯარო კონცერტებთან ერთად სისტემატურად იყენებენ სატელევიზიო შოუში. ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როდესაც საბჭოთა კავშირში მცხოვრები ქართველობა თავის ქიას ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონით“ იკლავდა.**

„ეს ის ეშმაკია, რომელზეც გელაპარაკებოდი. იმ ზომამდე მტანჯავს, რომ მოთმენა აღარ შემიძლია — უთხრა მამაომ ქალს. „ჩემი საქმე შენსაზე უკეთ ყოფილა, იმიტომ, რომ ეს ეშმაკი მე არ მყავს“ — მიუგო ქალმა, „შენა გაქვს ჯოჯოხეთი და თუ ამ ეშმაკმა არ მოიშალა და ასე მაწვალა, იმედი მაქვს შემიბრალებ და ნებას მომცემ ჯოჯოხეთში ჩავაგდო“ — თქვა მამაომ. „მამაო, — უპასუხა ქალმა — თუ მართლაც ჯოჯოხეთი მაქვს, ისე მოიქეცი, როგორც თქვენ გსურდეთ“. „მაშინ წავიდეთ და ჩავაგდოთ ეშმაკი ჯოჯოხეთში, იქნებ მოისვენოს ამ წყეულმა“, — თქვა მამა რუსტიკომ.

გასული საუკუნის სამოციანი წლების გახმაურებული წიგნის მოკრძალებული სიუჟეტიდან შორენას თუ ნანკას შოუმდე საკმაო დრო გავიდა. შეიცვალა შეხედულებები, მასთან ერთად ამ საქმისადმი საზოგადოების დამოკიდებულება. იმჟამინდელი მოხელის ნათქვამი — საბჭოთა კავშირში სექსი არ არისო, სასაცილოდაც არ ყოფნით თავისუფლებამოპოვებული ქვეყნის შვილებს. **დღეს თამამები, პირდაპირები ვართ, სასქესო ორგანოების სახელებსაც მოურიდებლად ვიყენებთ ჩვეულებრივ, უბრალო თუ ემოციურ, აღელვებულ საუბარში, ისევე, როგორც სქესობრივი აქტის გამომხატველ სიტყვებს. და ისმის რიტუალურად ქცეული ტყ, ტყ ტრანსპორტში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ქუჩაში... რა სჯობს იმას, როდესაც ჩაბნელებული დარბაზის ინტიმურად განათებულ სცენაზე მომხიბვლელი წამყვანი თვალს თვალში გაგიყრის და კეკლუცი პირდაპირობით გკითხავს — საკუთარი ასო თუ გაგიზომავსო. ანდა ის რად ღირს, ათას სხვადასხვა სიმაღლის ბარიერზე გადამხტარ ქალბატონს (იცის ვის დაუსვას შეკითხვა) რომ ჰკითხავს — ორგაზმის იმიტაცია თუ გაგითამაშებიაო. დარბაზში მყოფ ან ტელეეკრანებს მიჯაჭვულ „ხოშზე“ მოსულ მაყურებელს ხომ არაფერი შეედრება. ამას წინათ პრაიმარისით ყურებგამოჭედილმა ყმაწვილმა გულახდილად მკითხა — პრაიმარისი რას ნიშნავსო. ავუხსენი, შემდეგ კი ვკითხე — ორგაზმი თუ იციმეთქი. ვიციო, მომიგო.**

რაც მართალია დამოუკიდებლობამ თუ დანაპირები საამური ცხოვრება არ მოგვიტანა, სექსზე თავისუფალ საუბარს ხომ გვაზიარა? როგორც განსწავლული „ახალი ქართველები“ ამბობენ, საზოგადოებას კომპლექსები მოეხსნაო. ალბათ იმათ გულისხმობენ, ზამთარ-ზაფხულს, წვიმაში, თოვლში, ყინვასა და ქარში დანგრეული ბაზრის მიდამოებში რომ ვაჭრობენ.

გლობალიზაციის ერაში არაფერია გასაკვირი, არც სექსზე ლაპარაკი და არც სექს ფილმების ჩვენება, ოღონდ ერთია — იქაც კი, ჩვენ რომ ცივილიზებულ დასავლეთს ვუწოდებთ, ტელევიზიებით ასეთი ჩვენებისგან თავს იკავებენ. თუ მაინცდამაინც გინდა — გადაიხადე და გაიხსნება დახურული პორნოარხები. ასეთი მიდგომით ბავშვებს არიდებენ აკრძალული ხილის ნაადრევად ჭამას. თუმცა ჩვენთან რა მორიდებაზეა ლაპარაკი, როდესაც მისი აღმატებულება პრეზიდენტი ურჩევს უმწიფარ ყმაწვილებს ბუჩქებში კოტრიალს.

**რაც მართალია, მართალია: ვუნდერკინდები ვართ. სხვამ, რომ საუკუნეზე მეტი დრო მოანდომა ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სოციალურ მშენებლობას, პრეზიდენტის მოწოდებით ჩვენ ერთ თუ ორ წელში მოვაკვარახჭინეთ. სექსის დარგში ნამდვილად პროგრესია. ვიღაცას ასე უნდა, რომ იყოს — ეკონომიკური წარმატებების მოჩვენებით მორევში გაცურაოს, ტელეეკრანიდან გადმოღვრილი პოლიტიკურ თავისუფლებაში დაგარწმუნოს, მძიმე ყოფის გასაბათილებლად, ტრადიციების დასავიწყებლად, მართლმადიდებლობის დასაგმობად ეროტიკულ-სექსუალური თემებით გამოგიჭედოს ყური. საქართველოს მსგავსი უსუსური, უპრინციპო ქვეყნებისთვის არაერთი მომხიბვლელი გეგმა იწერება „დემოკრატიის ნაკრძალში“, უმთავრესად მოსარჯულებლად. სწორედ ასეთს აღწერს ამერიკელი ჯონ პერკინსი თავის წიგნში „ეკონომიკური მკვლელი“.** „ეკონომიკური მკვლელები ის პროფესიონალები არიან, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფოებს მილიონობით დოლარს სცინცლავენ. ფულს, რომელსაც ეს ქვეყნები ღებულობენ მსოფლიო ბანკიდან, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსგან, ეკონომიკური მკვლელები გადაქაჩავენ უმსხვილესი კორპორაციების სეიფებში, უმდიდრესი ოჯახების ჯიბეებში. იყენებენ ისეთ საშუალებებს, როგორებიცაა თაღლითური მანიპულაციები, ჩაწყობა არჩევნების დროს, ქრთამი, გამოძალვა, სექსი და მკვლელობები.“

პერკინსის საქმიანობა იმაში მდგომარეობდა, რომ დაერწმუნებინა მესამე ქვეყნები, ინფრასტრუქტურის განსავითარებლად დიდი კრედიტები აეღოთ. როგორც კი ეს ქვეყნები ვალებში ჩაეფლობოდნენ, აშშ-ის სააგენტოები კონტროლს აწესებდნენ ამ ქვეყნების ეკონომიკაზე და შეეძლოთ თავისუფლად გამოეყენებინათ მათი რესურსები გლობალური იმპერიის ასაშენებლად.

**რამდენი ასეთი პერკინსი, ბრაისა ან კუინინი მუშაობდა და მუშაობს საქართველოში? ან რას გვიმზადებს სტრატეგიული პარტნიორი? საქართველოს ჭარბი წიაღისეული არ გააჩნია, მაგრამ მოსახერხებელ ადგილას მდებარეობს. ჰოდა, ხომ შეიძლება მისი გამოყენება ურჩი ირანის ან რუსეთის წინააღმდეგ, მით უმეტეს, თუ ამ ტერიტორიის მმართველი თავად იხვეწება — ჩვენი ტერიტორია აირჩიეთ ავღანეთში გადასაზიდი სამხედრო ტვირთების ტრანზიტისთვისო, სამხედრო პლაცდარმიც შექმენით და გუანტანამოს ციხის ტერორისტი პატიმრებიც გამოგვიგზავნეთო.**



საზოგადოებაზე ზეწოლას არა მარტო ოკეანისგადაღმელები აწარმოებენ, არამედ მათ მიერ აღზრდილი აქაურები, თუნდაც ისეთი, როგორიცაა აშშ-ის იელის უნივერსიტეტის მაგისტრი ვინმე ყველაშვილი, რომელმაც ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან დაგვმოძღვრა — „საქართველო სიუხვის დაგროვების სტადიაშიაო, საქართველო ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის ჩემპიონიაო, ჩემმა ერთმა მეგობარმა „ჰერითჯის“ ფონდიდან მომწერა, რომ დროა ამერიკელებმა საქართველოდან ისწავლონ ლიბერალური ეკონომიკაო, შეხედეთ საქართველოს ტელეარხებს, განსაკუთრებით კი სახეცვლილ მე-2 არხს — თავისუფალი სიტყვის ტრიბუნა სხვა რა არის თუ არა ეს? მტკიცედ მჯერა, რომ სანამ საქართველო ლიბერალური და დემოკრატიული სახელმწიფოა, დასავლეთი თბილისის ინტერესების საზიანოდ ნაბიჯს არ გადადგამს. სანამ საქართველოს სუვერენული მთავრობა ჰყავს, რუსეთი ვერ მიიღებს ერთ გოჯ ქართულ მიწასაც კიო“. რას იტყვით, ხომ მაგარია! ის ნამდვილად გადაუჯოკრავს ბარნოვებს, დავითაშვილებს, შარაშენიძეებს, ჩიტაძეებს, ხელისუფლების მიერ დაპურებულ სხვა „ექსპერტებს“. **სექსუალური შეტევის მსგავსად საზოგადოების ისედაც ამღვრეულ გონებაზე პოლიტიკური იერიშიც ხორციელდება. რაც მთავარია, საქართველოში მართლაც აქვს „სიუხვის დაგროვებას“ ადგილი — ხელისუფლებაში მყოფი მხედრიონელების, პრეზიდენტის, მისი ოჯახის წევრების და გარემოცვის მიერ. მაგრამ ერთია — მას დაგროვების ნაცვლად ძარცვა ჰქვია. სწორედ ამგვარმა „სიუხვის დაგროვებამ“ გაამდიდრა აფრიკისა და აზიის სახელმწიფოთა მმართველი კლანები, მოსახლეობა კი უკიდურეს სიღატაკეში დატოვა.**

დამოუკიდებლობა მათ გასული საუკუნის სამოციან წლებში მიიღეს, მაგრამ სწორედ ამერიკელთა და სხვა დასავლელთა წყალობით ისეთი ლიბერალური პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა შექმნეს, საქართველოსას რომ ჰგავს. ამის გამოა, რომ ბევრი მათგანი ჯერაც ვერ გასწორებულა წელში. ცალკე თემაა ლათინური ამერიკა — მრავალი ათეული წლის განმავლობაში აშშ-ის ბაღჩად წოდებული. დღეს ბევრმა მათგანმა ხმა ამოიღო და ისე შეუტია „მამა-მარჩენალს“, უარესს რომ ვერ წარმოიდგენდა. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ოდესმე საქართველოც გამოფხიზლდება, თუკი საერთოდ გადაურჩა სულიერ და ფიზიკურ ზეწოლას.

ქვეყნის საქმე გაცილებით უკეთესად იქნებოდა, ოპოზიცია რომ ოპოზიცია ყოფილიყო. არ გაგვიმართლა. ოპოზიცია ძირითადად საკუთარი პრობლემებით, საკუთარი თავის გამოკვებით არის დაკავებული, როგორც ამბობენ ხელისუფალთა მხრიდან. არც ერთ მათგანს, გარდა ლეიბორისტებისა, არ აინტერესებს ხალხის გაუსაძლისი სოციალური პირობები. ყველა მათგანის მიმართულება დასავლეთია. არვითარი ლავირება, რაც პატარა ქვეყნისათვის აუცილებელია — წინ ამერიკისაკენ. ბოლო დროს გამოჩნდნენ ისეთები, რომლებიც ჩრდილოეთისკენ იყურებიან. მათთან დასავლეთელები ლაპარაკსაც არ აპირებენ. არათუ ლაპარაკს, აუგ სიტყვასაც არ იშურებენ მათი მისამართით. და არის ატეხილი ერთი გაწევ-გამოწევა და კინკლაობა ოპოზიციის ბანაკში. გამყრელიძემ პრეზიდენტის არჩევნებში 600 000 ამერიკული დოლარი აიღო სააკაშვილისგანო, განაცხადა ქრისტიან-დემოკრატმა ვეფხვაძემ. და დამადასტურებლად სააკაშვილი მოიყვანა. ვიწრო წრეში საუბრისას პრეზიდენტმა თქვა, მოლაპარაკებული ვიყავით გამყრელიძესთან, თუ გაჩეჩილაძეს მეტ ხმებს წაართმევდა, სამ მილიონს მივცემდითო. მაგრამ 4 პროცენტზე მეტი ვერ შეძლო და შესაბამისი თანხა მივეცითო. ვეფხვაძის თქმით თანხა ჩხარტიშვილს მიაცემინეს.

**ზემოთ ნახსენები ყველაშვილი ამას უწოდებს ლიბერალიზმს? ჩხარტიშვილი და არა მარტო ის, არამედ ყველა შეწერილი ბიზნესმენი გაცემულ თანხას ხალხის ჯიბიდან ანაზღაურებს. მაგალითად თხილის ბიზნესში ჩართული ჩხარტიშვილი გლეხებიდან თხილის თეთრებზე შესყიდვით და მეზობელ თურქეთსა თუ სხვაგან ათეულობით დოლარად გაყიდვით, ხელისუფლება-ოპოზიციის ხელი-ხელს ბანს პოლიტიკიდან გამომდინარე კატასტროფულად მოიმატა წამლების, კვების პროდუქტების, პირველი აუცილებლობის საქონლის ფასებმა. ქართული „ბიზნესის“ კეთილშობილებისა და პატიოსნების შესახებ ჯერ არავის სმენია, მაგრამ ხელისუფლება-ოპოზიციის მიერ გაღლეტილი ბიზნესმენი დანაკარგს რომ ხალხის ხარჯზე შეავსებს, გასაკვირია?** სააკაშვილის ღრმა ფანტაზიების შესახებ ბევრი გაგვიგია, მაგრამ ასეთს პირველად მოვკარით ყური. დავუშვათ გამყრელიძისთვის ფულის მიცემა ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფია. რატომ არ სცემს პასუხს? არა ისეთს, რაც მოვისმინეთ, არამედ არგუმენტირებულს, დამაჯერებელს. **განა ახლებისთვის ან სხვებისთვის უცნობია სააკაშვილისა და მისი გუნდის მიერ საბიუჯეტო ან სხვა სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა? მაგრამ, როგორც ჩანს, სააკაშვილს მეტი ფაქტები აქვს ოპოზიციასთან ფულადი გარიგების. დღეს უკვე ყველა ლაპარაკობს სააკაშვილ-გაჩეჩილაძის გარიგებაზე, რის შედეგად თითქმის ორგაზმამდე (ისევ სექსის ტერმინი) მისული მრავალათასიანი დემონსტრაცია სახლებში გაისტუმრეს. სწორედ ამაზე იტყვიან — ფერიფერს და მადლი ღმერთსო.**

**თქვენ თვითონ განსაჯეთ, ძვირფასო მკითხველო — ასეთი ამბების მომსმენ საზოგადოებას ნერვების დამამშვიდებელი აბები არ ესაჭიროება და გულის გასაქარვებლად ერთი-ორი სექს გადაცემა? საკითხავი ისაა, გაუძლებს თუ არა კალატოზიშვილ-ბეგაშვილის ტანდემი მაყურებელთა მზარდ მოთხოვნას. როგორც ჩანს, ხელისუფლებას დამატებით ახალი წამყვანების შერჩევა მოუწევს ან ძველთათვის ინსტრუქტაჟის ჩატარება — ეკრანზე თვალსაჩინოების წარმოდგენისათვის, აი მაშინ კი მართლაც იქნება საყოველთაო ორგაზმი.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

რეალობა

# ვინ ითვისებს ქონებას უკანონოდ?

**საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს ბანკების ვალი აქვს — გირაოდ ჩადებული საცხოვრებელი სახლი და უძრავ-მოძრავი სხვა ქონება. ეკონომიკური კრიზისის დროს, რომელიც ჩვენ ასე „წარმატებულად“ დავძლიეთ, უამრავ მოქალაქეს სესხი სესხად დარჩა და ბანკებმა ისინი სამუდამოდ „გააშავეს“, გირაოდ ჩადებული ქონებაც გაუყიდეს და ღია ცის ქვეშაც დატოვეს.** თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მოსახლეობის გაძვალტყავებისთვის მარტო ბანკები და სამშენებლო კომპანიები არ „ზრუნავენ“. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში ეჭვობენ, რომ მოქალაქეთა ქონების უკანონოდ მითვისებაში სახელმწიფო სტრუქტურებიც მონაწილეობენ.

გუშინ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში სპეციალური პრესკონფერენცია ადვოკატმა ალექსი კობაიძემ გამართა, რომელიც აცხადებს, რომ ამოხსნა სქემა, რომლის მეშვეობითაც ადამიანების ქონებას უკანონოდ ითვისებდნენ. ადვოკატი კონკრეტული ფაქტების საფუძველზე ასკვნის, რომ ამ სქემაში ჩართული არიან იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო რეესტრის, ნოტარიუსთა პალატის და უძრავი ქონების სააგენტოების თანამშრომლები. მათი დახმარებით ხდება იმ მოქალაქეთა მოძიება, რომლებიც სოლიდურ თანხას იხდიან იპოთეკა-გირავნობის ხელშეკრულებით, შემდეგ კი უყიდიან უძრავ-მოძრავ ქონებას თავდაპირველი სესხის, მისი პროცენტის და საურავის ჩათვლით ქონების მეოთხედის ფასად, რის შემდეგადაც ასხვისებენ რეალურ ფასად ან თვითონ იტოვებენ საკუთრებაში.

**ალექსი კობაიძე, ადვოკატი:**

— გასული წლის ნოემბერში მომმართა რამდენიმე მოქალაქემ, რომელთა საცხოვრებელი ბინები იპოთეკით ისე გაასხვისეს, რომ თვითონ არაფერი იცოდნენ, და არც მსგავსი ქმედების საჭიროება ჰქონიათ როდისმე, სანამ აღმასრულებელი არ მიადგათ და ბინები არ დააცლევინათ. თავიდან სკეპტიკურად შევხედე ამ ამბავს, მაგრამ ზარები და ახალ-ახალი ფაქტები რომ არ შეწყდა, დავინტერესდი და გადავწყვიტე, უფრო ღრმად გამომეკვლია წარმოდგენილი მასალები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობას სახელმწიფოებრივად საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აკონტროლებს, ის ასევე ზედამხედველობს აღმასრულებელ-მოვალის უფლებებსაც „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ კანონის, ასევე საქართველოს კონსტიტუციისა და სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმათა გათვალისწინებით დადგენილი წესითა და საფუძვლებით. თუ ვინმე ყოველივე ამას უგულებელყოფს და კანონს ამოფარებული სუბიექტები მოქალაქეებს დააზარალებენ, სახელმწიფოს შესაბამისმა უწყებებმა დამნაშავეები უნდა დასაჯონ. ყველაფრის თავი 2004 წლის 6 თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებებია, რომელიც ამკვიდრებს ფსევდო სამართალს.

ორი მოქალაქე უკვე დარჩა საცხოვრებელი ბინის გარეშე და თუ დროზე არ მივხედეთ ამ საქმეს, იგივე ბედი ეწევა დანარჩენ შვიდ ოჯახსაც.

ადვოკატმა, ასევე დაწვრილებით ისაუბრა კონკრეტულ სქემაზე, რომლითაც მოქალაქეები უბინაოდ დატოვეს. აღძრულია სისხლის სამართლის საქმეც.

ალექსი კობაიძემ უკვე მიმართა სასამართლოს, საქართველოს იუსტიციის მინისტრს და მთავარ პროკურორს, რათა დროულად ჩატარდეს გამოკვლევა მოქალაქეთა კანონიერი უფლებების დასაცავად — თუ ამ საქმეს მიჩქმალავენ, ფაქტებს აშკარად უგულებელყოფენ და მტკიცებულებებს გააყალბებენ, დავრწმუნდებით, რომ ზემდგომი ორგანოები არიან დაინტერესებული ამ გზით ფულის შოვნით, და ყველაფრის უკანაც ისინი დგანან, — აცხადებს ადვოკატი ალექსი კობაიძე, რომელსაც სამართლიანი გამოძიების და დამნაშავეთა დასჯის იმედი ჯერ კიდევ აქვს.

**ანა წიწილაშვილი**

◎ პარტიებსა და მოძრაობებში

**მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მთლიანი საქართველოს“ ოფიციალური დამფუძნებელი თავყრილობა შარშან, 11 მარტს ზუგდიდში უნდა გამართულიყო. მაშინ ყოვლად გაუგებარი, არარსებული მიზეზების გამო დაშინებულმა ხელისუფლებამ იმდენი მოახერხა, რომ ნოტარიუსი არ მიუშვა ყრილობაზე დამფუძნებელთა დოკუმენტების ნამდვილობის დასამტკიცებად. მალე „მთლიანი საქართველოს“ შექმნის მთავარი ორგანიზატორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, ცნობილი ქველმოქმედი და პატრიოტი ვლადიმერ ვახანიაც დააპატიმრეს... დააპატიმრეს აბსურდული ბრალდებებით და სააკაშვილის „რეფორმირებულმა“ სასამართლომ დღემდე ვერ „მოახერხა“ ამ ცამდე მართალი პიროვნების ღირსების დაცვა და განთავისუფლება.**

# ჩვენ ვემსახურებით სამშობლოს!

ჩვენი გაზეთის მკითხველმა კარგად იცის ვლადიმერ ვახანიას მამულიშვილური მისწრაფებები, ერის გამთლიანებისა და აღორძინების მიზნით შექმნილი პოლიტიკური წინადადებები... მხოლოდ ამისთვის შეიმუშავა მან და მისმა თანამოაზრეებმა აბსოლუტურად უბრალო, სადა, ადვილად გასაგები (სახალხოძ პროგრამა, შეიმუშავა, მაგრამ... პრაქტიკულად მისი განხორციელება ვერ შეძლო.

გუშინ სასტუმრო „ივერიის“ (დღეს „რადისონ ბლუ ივერია“ რომ ჰქვია!ძ სხდომათა დარბაზში პოლიტიკური გაერთიანება **„მთლიანი საქართველოს“** მხარდამჭერები შეიკრიბნენ. ამჯერად ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით წარიმართა. გაერთიანების დამფუძნებელ ყრილობას 500-ზე მეტი დელეგატი ესწრებოდა. მართალია, ძირითადად ორგანიზაციული საკითხები განიხილეს (დამტკიცდა პროგრამა და წესდება, გაერთიანების მთავარი პოლიტიკური საბჭო 5 კაცის შემადგენლობით, აირჩიეს პარტიის თავმჯდომარე და ასე შემდეგძ, მაგრამ პირველსავე შეხვედრაზე (თუ შარშანდელ შეხვედრას არ ჩავთვლითძ გამოიკვეთა „მთლიანი საქართველოს“ სამომავლო მოღვაწეობის აკადემიური სტილი, ლიბერალურ-ცენტრისტული მიმართულება.

დამფუძნებელ ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა პოლიტიკური გაერთიანების ერთხმად არჩეული თავმჯდომარე აკადემიკოსი **გასავ (აკაკი) გასვიანი,** რომელმაც პრინციპულად თქვა:

– ჩვენ ვითანამშრომლებთ ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიასთან, არ ვყოფთ მათ პოზიციად და ოპოზიციად. გულახდილი თუ ვიქნებით, სწორედ ამ დაყოფამ, დაქუცმაცებამ დააქცია საქართველო. ჩვენ ნაყოფიერად ვითანამშრომლებთ ნაციონალურ მოძრაობასთანაც კი... უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის პრეზიდენტს უნდა დავუმტკიცოთ, რომ ის შეცდომაში შეიყვანეს და დღემდე უმალავენ ინფორმაციებს ვლადიმერ ვახანიას უდანაშაულობის შესახებ. ჩვენ ყველანი ქართველები ვართ და სირცხვილია, საერთო ენა ვერ გამოვნახოთ... არა კონფრონტაცია და დაპირისპირება, არამედ – პრინციპული და სამართლიანი, ლიბერალური და ადამიანური ურთიერთობები! – აი, ჩვენი განსხვავებული ხედვა, თუ შეიძლება ამას განსხვავებული ეწოდოს...

– ჩვენი პოლიტიკური გაერთიანება პრაქტიკულ მოღვაწეობას დაიწყებს ყველაზე პრობლემური სოციალური საკითხებით, – განაგრძო აკაკი გასვიანმა, – ეს არის შრომისუნარიანი ხალხის დასაქმება. დასაქმების საფუძველთა საფუძველია დიდი და პატარა საწარმოების შექმნა. იმის მიუხედავად, რომ უმოწყალოდ გაასხვისეს, გაყიდეს, ჯართად ჩააბარეს ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები, დღევანდელი მწირი ბიუჯეტითაც შეიძლება ახალი საწარმოების შექმნა. ამ სფეროში განუკითხაობა უნდა შევაჩეროთ, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას უნდა გავუფრთხილდეთ, მიწა-წყალი შევინარჩუნოთ და გავამთლიანოთ, ეროვნული სოციალური პროგრამის განხორციელებით, ბიუჯეტის გაზრდით, ინვესტიციების მოზიდვით აუცილებლად უნდა დავიბრუნოთ მილიონზე მეტი ქართველი, რომლებიც საზღვარგარეთის ქვეყნებში ლუკმა-პურს ეძებენ. სხვათა შორის, საზღვარგარეთ ბევრი ქართველი ბიზნესმენი მოღვაწეობს. აი, ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი სწორედ ამ საქმიანი ხალხის უკან, სამშობლოში დაბრუნება იქნება.

– რაც შეეხება სახელმწიფო მოწყობას, ამბობს „მთლიანი საქართველოს“ ლიდერი – ჩვენ კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით ზოგიერთი პარტიის მოდელს – **„მოვედი ჩემი გუნდით!“** ამაზე სამარცხვინო და პროვინციული რა უნდა იყოს?! განა საქართველო ჩემი ან შენი გუნდის სამართავია? **პარტიებში აქა-იქ მოკიაფე ნიჭიერი, განათლებული, პატიოსანი, ქართული ცნობიერებით აღსავსე ხალხი უნდა გაერთიანდეს და სწორედ მათ უნდა მართონ საქართველოს ამერ-იმერი. ქვეყნის გონივრული მართვა ყველა პრობლემის მოგვარების საფუძველთა საფუძველია. „მთლიანი საქართველოს“ შექმნის ბალავარი სწორედ ეს არის.**

– უძველესი საქართველო და მისი მშობლიური ენა, ზნეობა და ტრადიციები ჩვენი პოლიტიკური გაერთიანების ზრუნვის მთავარი საგანი იქნება... საქართველო არასოდეს არ უნდა გახდეს მხოლოდ ვაჭარი ან მხოლოდ მომსახურე ერი. თუ ეს ტენდენციები ასე გაგრძელდება, მერწმუნეთ, საქართველო უფრო მალე გადაშენდება ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. ქართველები მაძიებელი, შემქმნელი, მებრძოლი, სწავლასა და მეცნიერებას დაწაფებული ხალხი ვართ, ამიტომაც მოვედით დღემდე და... ასე უნდა გავაგრძელოთ მომავალშიც.

როგორც მოსალოდნელი იყო, „მთლიანი საქართველოს“ ლიდერმა დიდი გულისტკივილით ილაპარაკა დევნილთა პრობლემებზე, რადგანაც პოლიტიკური გაერთიანების მთავარი საყრდენი ძალა სწორედ დევნილებია. ეს იმდენად ვრცელი თემაა, მის გარშემო ცალკე მოვუთხრობთ მკითხველს.

* * *

**გამოდის, რომ ახალი პოლიტიკური გაერთიანება ფრიად ორიგინალური, პერსპექტიული და სერიოზული ძალაა. მართალია, საქართველოში 160-ზე მეტი პარტიაა, მაგრამ „მთლიანი საქართველო“ თავისი პრინციპულობით და მიზანსწრაფვით, შესაძლოა ერთობ ანგარიშგასაწევი გახდეს.**

დამფუძნებელ ყრილობაზე დელეგატებს და მოწვეულ სტუმრებს დაურიგეს „მთლიანი საქართველოს“ ფიცი, რომელიც ასე მთავრდება:

**ჩვენ გვწამს საქართველოს მომავლის!**

**ჩვენ ვემსახურებით სამშობლოს!**

ღმერთმა ხელი მოგვიმართოთ!

**სოლომონ აფაქიძე**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# შემოწმებით „შავ ხვრელში“

**სამხრეთ ოსეთის ლიდერმა ედუარდ კოკოითმა გადაწყვიტა ბოლო მოუღოს ხმებს რუსეთის ფულადი სახსრების არაეფექტიანი გამოყენების შესახებ რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ. ბრალდებათა უარყოფა უნდა მოახდინოს მისი თხოვნით ცხინვალში ჩასულმა რუსეთის საანგარიშო პალატის სამუშაო ჯგუფმა. მოსკოვი ამ დროს არ ელოდება შემოწმების შედეგებს და ემზადება გაგზავნოს რესპუბლიკაში ახალი მრავალმილიარდიანი რუბლის „გზავნილი“**

„ჩვენ ვიწვევთ რუსეთის საანგარიშო პალატას თანამშრომლობისთვის, რათა საბოლოოდ მოვაწესრიგოთ აღმშენებლობითი პროცესი, – განაცხადა რესპუბლიკის ხელმძღვანელმა სამუშაო ჯგუფის წევრებთან შეხვედრის დროს. – სახსრები აღდგენითი სამუშაოებისთვის მოდის რუსეთიდან და ჩვენ გვსურს, რომ დაფინანსების პროცესი იყოს გამჭვირვალე. ჩვენ ნებას არავის მივცემთ, რომ სამხრეთი ოსეთი გადაიქცეს „შავ ხვრელად“.



საუბრები იმის შესახებ, რომ მიუხედავად მოსკოვის მიერ გამოყოფილი სერიოზული სახსრებისა, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება დიდად არ წაწეულა წინ რესპუბლიკის აღდგენის საკითხში ქართული აგრესიის შემდეგო, მიმდინარეობს უკვე მთელი წელიწადია.

ადგილობრივი ოპოზიცია შექმნილ სიტუაციაში ადანაშაულებს პირადად კოკოითს, ეჭვი ეპარება, რომ პრეზიდენტი, რბილად რომ ვთქვათ, არამიზნობრივად იყენებს სახსრებს. „ამჟამად ყველა საფინანსო გადაწყვეტილება თავმოყრილია ბატონი კოკოითის ხელში. მოხდა ხელისუფლების უზურპაცია“, – განაცხადა, კერძოდ, რესპუბლიკის ყოფილმა პრემიერმა იური მოროზოვმა.

თავად რესპუბლიკის ხელმძღვანელი მთელს პასუხისმგებლობას აკისრებს არაკეთილსინდისიერ მოიჯარეებს, რომლებიც ჩამოვიდნენ რუსეთიდან თითქოსდა „გრძელი რუბლის“ გამოდევნების მიზნით და, რომლებმაც ფასები გააძვირეს. სწორედ ამან, ამტკიცებს სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება, ჩაშალა შარშანდელი გეგმები დედაქალაქში საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით: დაგეგმილი 250 კერძო სახლიდან (მათი რაოდენობა 3 ათასზე მეტიაძ ასიც არ გადაცემულა საექსპლოატაციოდ.

თავის პოზიციაზე კოკოითი არც ამჟამად ამბობს უარს, მან რუს კონტროლიორებს განუცხადა, რომ რესპუბლიკის მთავარი პრობლემები სწორედ რუსი მშენებლების არაკეთილსინდისიერებაშია. „ისინი ახდენენ სამხრეთ ოსეთის დისკრედიტაციას რუსეთის საზოგადოების თვალში“. „პრობლემებია განსაკუთრებით იმ მოიჯარეებთან, რომლებიც რეგისტრაციაში გატარებული არიან რუსეთის ტერიტორიაზე. ბევრი მათგანი უარს ამბობს შეხვდეს ჩვენს სამართალდაცვით ორგანოებს, რომლებსაც ევალებათ გადმოგცეთ მთელი ინფორმაცია“, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

კოკოითმა განაცხადა აგრეთვე, რომ საანგარიშო პალატის სამუშაო ჯგუფს გადასცემს მოიჯარე ორგანიზაციების სიას, რომლებსაც ანგარიში არ ჩაუბარებიათ გაწეული მუშაობის შესახებ. „ესეც გარკვეულწილად აფერხებს აღმშენებლობით პროცესს, განსაკუთრებით კერძო და მუნიციპალური საცხოვრებელი ბინების მშენებლობაში, რასაც ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს“.

ელოდებიან, რომ შემოწმება დამთავრდება 9 აპრილისთვის. ამ დროს მოსკოვში გადაწყვიტეს, არ დაელოდონ საანგარიშო პალატის დასკვნებს და განაცხადეს, მისცენ რესპუბლიკას ახალი ფულადი ტრანში.

როგორც სამშაბათს რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილემ რომან პანოვმა განაცხადა, მიმდინარე წელს ხელისუფლება ცხინვალს გამოუყოფს 5 მილიარდ რუბლზე მეტ თანხას დიდი საინფრასტრუქტურო პროექტების რეალიზაციისთვის. „პირველ რიგში ეს არის საავტომობილო გზები და ქალაქ ცხინვალის წყლით უზრუნველყოფა“, – განაცხადა მან მოსკოვში გამართული სამთავრობათაშორისო კომისიის პირველი სხდომის შემდეგ, რომელიც მიეძღვნა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებს.

კიდევ 630 მილიონი რუბლი გამოეყოფა რესპუბლიკას ადრე დამტკიცებული გეგმების დამთავრებისთვის ეკონომიკის აღდგენის დარგში. ამას გარდა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ცხინვალმა რუსეთისგან უკვე მიიღო 8,5 მილიარდი რუბლი.

სხვათა შორის, რუსეთი მხოლოდ ფულადი დახმარებით როდი შემოიფარგლება. როგორც ამ დღეებში გახდა ცნობილი, ბელარუსისა და რუსეთის საბჭოს საპარლამენტო კრებამ გადაწყვიტა ზაფხულის ბოლოს განიხილოს საკითხი მეთვალყურის სახით სამხრეთ ოსეთის მიღების შესახებ გაერთიანებაში, რომელსაც ერქმევა ულიარებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. მასში შევლენ დნესტრისპირეთი, აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი.

თუმცა უცნობია, რას ფიქრობს ამის შესახებ ალექსანდრ ლუკაშენკო. მას ხომ, რუსეთის კოლეგისგან განსხვავებით, დღემდე არ ულიარებია დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არც აფხაზეთი, არც სამხრეთი ოსეთი, რომ აღარაფერი ითქვას უკვე დნესტრისპირეთზე, რომლის დამოუკიდებლობასაც მოსკოვიც არ აღიარებს.

**იულია მალიშევა**

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**ვაშინგტონის სამხრეთით სროლების დროს დაიღუპა 3 კაცი, 6 დაიჭრა**

**დაპატიმრებულია 3 კაცი, დაზარალებულთაგან 5 მძიმე მდგომარეობაშია. პოლიცია ვარაუდობს, რომ ურთიერთსროლის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ბანდებს შორის გარჩევა. თვითმხილველები მომხდარს ვიეტნამის ომს ადარებენ.**

* * *

**ნასა თავის რაკეტებს აღჭურავს 40 წლის წინანდელი საბჭოთა ძრავებით**

**ძრავა ნკ-33 დაამუშავა საბჭოთა კონსტრუქტორმა ნიკოლაი კუზნეცოვმა მთვარის პროგრამისთვის და იგი გაიგზავნა საწყობში. თანამედროვე გამოცდებმა დაადასტურა, რომ ძრავას აქვს ძლიერი პოტენციალი, ამჟამად მასზე კოსმოსში ამერიკის შეერთებული შტატები იფრენს.**

* * *

**ტორონტოში აუქციონზე გაიყიდება კოსმოსის ათვისების საბჭოთა და რუსეთის ისტორიის საგნები**

**ერთ-ერთი ლოტია – კოსმოსური სკაფანდრი, რომელიც ეკუთვნოდა ერთ-ერთი ხომალდის ეკიპაჟის კოსმონავტს ანატოლი არცებარსკის. მისი ღირებულება 25-35 ათას დოლარადაა შეფასებული. სულ გასაყიდად გამოტანილი იქნება 40 საგანი. ისინი შემოვიდა კოლექციონერებისგან, რომლებიც ირჩევენ ანონიმურობას.**



◎ პიროვნება

*ამ წერილის გმირი წარჩინებულთა გვარის წარმომადგენელია. ამიტომაც, უპირველეს ყოვლის, მკითხველს ქართველთა სახელოვანი მეფე-პოეტის ვახტანგ VI-ის ერთ დაუვიწყარ ლექსს შევახსენებ:*

*კაცმა უნდა თავიდანვე*
*საქმე ისე მოივარგოს,*
*ამ სოფელში ხელი ჰყაროს*
*იმ სოფელშიც რომ ივარგოს*
*სახელის ხე საჩრდილობლად*
*გზისა პირსა სადმე დარგოს!*

*არა მარტოოდენ ამაღლებული განწყობისთვის, ეს ლექსი ზედგამოჭრილია ოჯახის, მეგობრების და რაც მთავარია, უფლისგან დალოცვილი კაცისთვის, რომელმაც 85 (ოთხმოცდახუთი) წელიწადი ისე მოივარგა და თბილისიდან სოხუმამდე, სოხუმიდან თბილისამდე იმდენი სახელის ხე დარგო, საჩრდილობლად კი არა, კვეზერელი-კოპაძეების ბარე ოც თაობას ეყოფა ამ ცხოვრების ორომტრიალში ყველაზე მძიმე ჟამს სულის მოსათქმელად და ფიქრთგასართველად.*



# ქართული პედიატრიის პატრიარქი

ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე, – არ მეგულება ბავშვიანი ოჯახი ლამის მთელ საქართველოში, რომელთა საფიცარი ექიმი არ იყოს ეს უზადო პროფესიონალი და შესანატრი პიროვნული თვისებებით დაჯილდოებული დიდი პედიატრი.

მაინცდამაინც არ მიყვარს „მშრალი" სტატისტიკის მოხმობა, მაგრამ მკითხველმა რომ ბოლომდე ირწმუნოს ჩემი სიტყვების სიმართლე, „იძულებული" ვარ, რამდენიმე წინადადება დავუთმო ცოცხალ, გაუხუნარ ამონარიდებს ბატონი ავთანდილის ბიოგრაფიიდან:



ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე მეუღლესთან ერთად

**დაიბადა 1925 წლის 1 აპრილს** თბილისის უძველეს უბანში, ავლაბარში, კვეზერელ-კოპაძეთა დიდი წინაპრების მიერ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში აშენებულ სახლში (დღესაც ამ სახლში ცხოვრობს და ტკბება წარსულის მოგონებებით, ანტიკვარული ნივთებით და უმდიდრესი საოჯახო ბიბლიოთეკით... ერთ დროს თურმე თვით იოსებ გრიშაშვილიც კი ნატრობდა იმდენი წიგნი ჰქონოდა, რამდენიც კვეზერელ-კოპაძეებს. დიდმა პოეტმა და თბილისის ბოჰემის მემატიანემ ეს წადილი, როგორც მოგეხსენებათ, შეისრულა და უნიკალური ლიტერატურა დაუტოვა შთამომავლობას). ავთანდილ კვეზერელი-კოპაძის მამა ნიკოლოზი სახელგანთქმული ინჟინერი (გზათა მშენებელი) იყო, დედა ევგენია კი ცნობილი პედიატრი. მათ ოთხი შვილი აღზარდეს. ოჯახის ნაბოლარა, მეოთხე შვილი ავთანდილი მოწაფეობიდანვე გამოირჩეოდა საოცარი მიზანსწრაფვით. სწავლის პარალელურად (მეოთხე საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, 1944 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა), თავდავიწყებით თამაშობდა კალათბურთს, იყო არმიის სპორტული კლუბის, „ლოკომოტივის", ქუთაისის ნაკრები გუნდის წევრი. რაღა თქმა უნდა, სპორტის „ქრონიკულმა" სიყვარულმა ჩამოუყალიბა მას ხასიათის სიმკაცრე, სულიერი და ხორციელი სილამაზე, უღალატო მეგობრობის, მიუკერძოებლობის, პრინციპულობის, თავდაუზოგავი შრომის უნარი.

ახალგზედა ექიმი აფხაზეთში გაანაწილეს. სოხუმის ჩვილ ბავშვთა სახლში ყველას უყვარდა განათლებული და ჭკვიანი პედიატრი... ღმერთის ნებით, სოხუმშივე გაანაწილეს ავთოს თანაკურსელი, მანჯგალაძეების უმშვენიერესი ასული ელენე... ხუთწლიანი „ფარული" სიყვარული მალე ოჯახის შექმნით დაგვირგვინდა. 1953 წელს ავთანდილი მკაცრი კონკურსის დაძლევის შემდეგ ჩაირიცხა საკავშირო სამედიცინო აკადემიის პედიატრიის ინსტიტუტის კლინიკურ ორდინატურაში. მისი დამთავრების შემდეგ ისევ აფხაზეთში დააბრუნეს და ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს მთავარ პედიატრად დანიშნეს. სწორედ აქ ჩამოყალიბდა ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე როგორც ბავშვთა პოლიკლინიკებისა და სტაციონარების სრულყოფის ორგანიზატორი. აფხაზეთის მოსახლეობამ გულითადად შეიყვარა მათი შვილების მკურნალი... სოხუმიდან დღესაც ურეკავენ ძველი ნაცნობები და დახმარებას სთხოვენ. 1960 წლიდან ის უკვე თბილისში, ახლად დაარსებული პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჯერ სწავლული მდივანია, ხოლო შემდეგ დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. ექვსი წლის შემდეგ ირჩევენ ახლად ჩამოყალიბებულ ბავშვთა ჰემატოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელად, სადაც დღემდე დიდი რუდუნებით მოღვაწეობს. სწორედ ავთანდილ კვეზერელი-კოპაძის დამსახურებაა, რომ საქართველოში დაიწყო ჯანმრთელ ბავშვთა სისხლის ნორმატივების შესწავლა. 15 წლის განმავლობაში ქართველმა პედიატრებმა საქართველოს ყველა რეგიონის 7000-მდე ბავშვის სისხლი გამოიკვლიეს და ასაკობრივი ნორმატივები დაადგინეს. ჩვენი (და არა მარტო ჩვენი) საბავშვო კლინიკები დღესაც ამ ნორმატივებით სარგებლობენ.

ცნობილი პედიატრიის მეცნიერული და პრაქტიკული კვლევის თემატიკას წარმოადგენდა დედისა და ბავშვის იზო-ანტიგენური შეუთავსებლობის შესწავლის პრობლემა, მათ შორის ახალშობილთა ჰემოლიზური ანემიის დროს ჰიპოქსიისა და იმუნური ფაქტორების როლის მნიშვნელობა ნერვული სისტემის დაზიანებისას; საქართველოს ბავშვთა რკინადეფიციტური ანემიის ეპიდემიოლოგიური გამოკვლევები; ღლენაკლულთა ანემიების პათოლოგიები. საბჭოთა კავშირში პირველად, ადრეული ასაკის ბავშვთა ტრანსფიზიოლოგიაში მეცნიერულად დასაბუთდა და პრაქტიკულად გამოიყენეს ულტრადაბალ ტემპერატურაზე (მინუს 196 გრადუსი) ხანგრძლივად გაყინული ერითროციტალური მასის გადასხმა ანემიების დროს. ამ გამოკვლევამ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე ჭეშმარიტი მეცნიერია. მან წარმატებით დაიცვა როგორც საკანდიდატო, ისე სადოქტორო დისერტაციები. გამოქვეყნებული აქვს 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და 4 მონოგრაფია. კარგა ხანია ხელმძღვანელობს საქართველოს პედიატრთა ასოციაციას, რედაქტორობს ჟურნალ „საქართველოს პედიატრიას", არის საქართველოს მედიკო-სოციალური და მედიკო-ბიოლოგიური აკადემიების ნამდვილი წევრი.

85 წლის ექიმი, ქართული პედიატრიის პატრიარქი დღესაც შესანატრი ენერგიულობით, ერთგულებით, პროფესიონალიზმით ეძებს სიახლეებს და ნერგავს პრაქტიკაში. მისთვის უცხოა მიღწეულით ბაქიბუქი, თვითკმაყოფილება, ამიტომაც დღესაც რიგში დგანან მშობლები, რომ ამ ღვთივკურთხეული მკურნალის ხელი შეეხოს მათ პატარას, ავთანდილ კვეზერელ-კოპაძის დღემდე შეუმცდარი დიაგნოზით უმკურნალონ და მისივე რჩევა-დარიგებით აღზარდონ!

პროფესიონალიზმთან ერთად საოცარი პატიოსნება და უანგარობა გამოარჩევს ამ დიდი ქართული ოჯახის ღირსეულ შთამომავალს. ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე ერთ-ერთია იმ გამონაკლის მკურნალთა შორის, რომელსაც არასოდეს დაუწესებია მომსახურების ნიხრი, პირიქით, ხშირად იქით მიუცია წამლის ფული ასობით ღატაკი და შეჭირვებული ოჯახისთვის. ამიტომაც ლოცავს მას ლამის მთელი საქართველო.

ბუნებრივია, ექიმთა ოჯახში ტრადიციაც ღირსეულად გრძელდება.

სახელოვანი პედიატრი-ჰემატოლოგია ავთანდილის უფროსი შვილი მარინა. ის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის კათედრის პროფესორია. პროფესორი და ჯანდაცვის ცნობილი ექსპერტია მარინა კვეზერელი-კოპაძის მეუღლე ბატონი ამირან გამყრელიძე, რომელიც წლების განმავლობაში საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი იყო...

უმცროსი ქალიშვილი მაია ჩვენი კოლეგაა, ფილოლოგი, რედაქტორი, პუბლიცისტი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი. ჩვენი საზოგადოება მას იცნობს, როგორც საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის" პრეზიდენტს და მრავალი საქველმოქმედო თუ საზოგადოებრივი აქციის ორგანიზატორს. მაიას მეუღლეს, ცნობილ ფინანსისტ-ეკონომისტს ანდრო დევდარიანს ჩვენი მკითხველისადმი წარდგენა არ სჭირდება, ისედაც ყველა იცნობს; რაც შეეხება ავთანდილ კვეზერელი-კოპაძის მთავარ განძს და სიხარულს, შვილიშვილებს – ნიკა და თამუნა გამყრელიძეებს, თეონა და თამთა დევდარიანებს, ოთხ შვილთაშვილს – ლუკას, ვახტანგს, ელენეს, გიორგის რამდენიმე წლის შემდეგ – საფიცარი პაპის 100 წლის იუბილეზე უფრო გულდინჯად წარმოგიდგენთ...

დარწმუნებული ვარ, ათეულათასობით მადლიერი პაციენტის და მათი მშობლების ლოცვა-კურთხევა სიცოცხლეს მატებს ამ მძიმე წუთისოფლის მანათობელ ბავშვთა გადარჩენა-ჯანმრთელობაზე ასე მზრუნველ კაცს, ექიმს, მოღვაწეს, ღირსეულთა შორის ღირსეულ მეოცესაუკუნელს!

**სპარტაკ ქობულია**

***P. S.* საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის" გულითადად ულოცავს ბატონ ავთანდილ კვეზერელი-კოპაძეს დაბადების დღეს და ხანგრძლივ სიცოცხლეს უსურვებს.**

◎ მიმართვა

***დიდი** ინტერესით წავიკითხეთ 2009 წელს თბილისში გამოცემული თქვენი 627-გვერდიანი მეტად საინტერესო და საჭირო წიგნი „ყველა დროის 100 უდიდესი ქართველი". მივესალმებით იმას, რომ წიგნის ავტორი ბრძანდებით ორი დიდი დარგის (ისტორია, პოლიტოლოგია) მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, ორი აკადემიის აკადემიკოსი, რომ წიგნი გამოცემულია თბილისში საგამომცემლო სახლში „ინოვაცია" (დირექტორი – ზაურ ნაჭყებია), ჰყავს კომპეტენტური ორი რედაქტორი და ოთხი რეცენზენტი.*

# დიდ სიხარულთან ერთად ტკივილიც

**ღია წერილი ბატონ ვაჟა შუბითიძეს – „ყველა დროის 100 უდიდესი ქართველის" პატივცემულ ავტორს.**

მოგესალმებით გულითადად, ბატონო ვაჟა, თქვენს დამსახურებულ პიროვნებას, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი ერისა და ქვეყნის სასიკეთოდ, კიდევ ბევრი გეწეროთ ისეთი წიგნი, რომლებიც დაგვეხმარება ქართული ზნეობის განმტკიცება-დაცვა-შენარჩუნება-გაფართოებაში, ისეთი წიგნები, დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში საჭირო რომაა.

გეტყვით გულწრფელად, წიგნი მოგვეწონა „თავფურცლით", „შესავლით" დაწყებული და „ბოლოთქმით" დამთავრებული. მასში გულიც ჩადებულია და სულიც. აფერუმ, ბატონო ვაჟა. გმადლობთ ამისათვის!

გაგიმხელთ იმასაც, რომ თქვენმა წიგნმა, იმედისმომცემი სიხარულის ცრემლთან ერთად, გულის ტკივილიც გამოიწვია. დაჭრილ გულს მხოლოდ მალამო შველის... სიხარულზე ზემოთ მოგახსენეთ, გულის ტკივილი კი ისაა, რომ ყველა დროის 100 უდიდეს ქართველს შორის არ აღმოჩნდა, თუნდაც ერთი პიროვნება საქართველოს ძირძველი და მრავალტანჯული კუთხიდან, აჭარიდან, სადაც როგორც დიდი ილია, იაკობ გოგებაშვილი, სრულიად საქართველოს პატრიარქი, მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ილია მეორე და სხვები აღიარებენ, ჩვენი გმირების და ქრისტიანობის აკვანი დაირწა. ჩვენი კუთხის ისტორიაში გამოჩენილი მამულიშვილები კი არც თუ ისე ცოტაა. დავასახელებთ მრავალთაგან თუნდაც რამდენიმეს. ესენია: აბუსერისძე ტბელი, მარკოზ აჭარელი, სელიმ ხიმშიაშვილი, დემეტრე მეორის როლი რომ შეასრულა ამ კუთხეში, 1815 წელს თავი დადო სამშობლოს სამსხვერპლოზე, მისი შვილიშვილი შერიფ (ალექსანდრე) ხიმშიაშვილი, რომლის ორიენტაციამ, ბაბუის (პაპისა) და მამის ანდერძისადმი ერთგულებამ, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულმა განსაზღვრა სამასი წლის მანძილზე დედის გულმკერდიდან ამოგლეჯილი აჭარის მშობელი დედის კალთაში დაბრუნება.

ბატონო ვაჟა, ჩვენთან შედარებით, თქვენ ჯერ ახალგაზრდა და შემოქმედებითი ნიჭის აღზევების ხანაში ბრძანდებით. როგორც შესავალში ბრძანებთ, კვლავაც აპირებთ წიგნების წერას. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! თქვენი ეს წიგნი იმდენად აქტუალურია, რომ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად გადაიქცა. შეიძლება იფიქროთ მის მეორე შევსებულ გამოცემაზე დიდი ტირაჟით და ეგებ მაშინ გაითვალისწინოთ ჩვენი მოკრძალებული სურვილები. ჩვენი აზრით, მომავალ წიგნში ზემოთ დასახელებულებთან ერთად, აგრეთვე უნდა შევიდეს აჭარის ღირსეული შვილების გვარები (თქვენი არჩევანით ნებისმიერი): სამასი წამებული აჭარელი, რომლებიც ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა და ხატწერითაც აღნიშნა, მემედ აბაშიძე, დავით მამულაძე, ფრიდონ ხალვაში, ზურაბ გორგილაძე, ქსენია ბახტაძე – აკადემიკოსი, ანატოლი კაჭარავა – საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პირველი ხელმძღვანელი და სხვა მრავალი.

ბატონო ვაჟა, მომავალი წიგნის მომზადების დროს, თუ თქვენ საჭიროდ ჩათვლით, მზად ვართ, გაგიწიოთ საქმიანი თანადგომა.

**კეთილი გულით და საუკეთესო სურვილებით**

**სერგო დუმბაძე,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი;
**აკაკი ბერიძე,**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი;
**ამირან კილურაძე,**
ჟურნალისტი.

(ქალაქი ბათუმი) 30 მარტი, 2010 წელი



ირაკლი ნასიძე თავის ფრანგ მოდელთან ერთად



ფრაგმენტი ფრანგული მშვენიერებიდან



ლაკო ბუკია და მისი ახალი ფრანგი პარტნიორი ანა ლუიზა პასოა დე ქეიროზი

# 18 აღელვებული დიზაინერი და გამარჯვებული საქართველო



შავისა და თეთრის შერწყმა

...თურმე მშვენივრად შეგვძლებია ჩვენთვის უცხო ხილის – მოდის საერთაშორისო კვირეულის მასპინძლობა და გასაკვირად მრავალრიცხოვანი მაყურებლის, ძირითადად ახალგაზრდობის მოზიდვა. ოთხი დღის განმავლობაში, 26-დან 29 მარტის გვიან საღამომდე ქართველი, ფრანგი და ესპანელი მოდელების ჩვენებას თანაბარი ინტერესით აკვირდებოდნენ არა მხოლოდ თბილისელი გოგონები და მოჩიტული ბიჭები, არამედ ასაკოვანი ბანოვანები, სილაღის მოყვარული, ნირშეუცვლელი ვაჟბატონები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის ორივე სქესის დეპუტატები... თუმცაღა, პარლამენტართა მრავლობა ერთმა ჩვეულებრივმა მოვლენამ გამოიწვია: ამ კვირეულის ერთ-ერთი ორგანიზატორი პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის მეუღლე მაკა მეტრეველი გახლდათ.

დიდი შრომა გასწია ცნობილმა „ფრანგმა“ დიზაინერმა ირაკლი ნასიძემ, რომელსაც აგერ უკვე 15 წელიწადია თბილისიდან ეფერებიან ქართველები. მისი ორიგინალური დიზაინით დაღდასმული მოდელები ამას უთუოდ იმსახურებენ. და აი, ირაკლი ნასიძე თბილისში ჩამოვიდა და, როგორც კვირეულის „პროტეჟემ“ საკუთარი გრანდიოზული ჩვენებით გახსნა მშვენიერების ეს დღესასწაული.

პოდიუმზე 32 მოდელი გვიჩვენა ირაკლიმ. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ისე განსხვავდებოდა აკადემიური, ასე ვთქვათ, უმრავლესობისთვის მისაღები სტილისგან, როგორც ფუფალასა და მარიტას (გაიხსენეთ გოგლა ლეონიძის დაუვიწყარი სახეები „ნატვრის ხიდან“) სამოსი. ფანტაზია, ფორმისა და ფერის ორიგინალური შერწყმა, თამამი, აბსტრაქტული დიზაინი... სწორედ ისეთი, დიდხანს რომ იფიქრებ, – ამას მასობრივი მყიდველი ეყოლება?

აუცილებლად ეყოლება. მოდა იმდენად გათავისუფლდა სტერეოტიპებისგან, მეტიჩარა და პრეტენზიული ქალბატონები ირაკლი ნასიძის მოდელებს აუცილებლად შეიძენენ... რამდენადაც ცნობილია, მისი შედევრები არ რჩება კიდეც დიზაინერის გარდეროbში...

**– არ მეგონა ამდენს თუ ვინერვიულებდი. სამშობლოში, საერთაშორისო კვირეულზე მოდელების ჩვენება პირველად მომიწია... თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, უბედნიერესი კაცი ვიქნები... ვერ წარმომედგინა, თუ ამდენი მაყურებელი შეიკრიბებოდა...**

შეიძლება გულწრფელად ვუთხრათ ჩვენს ნიჭიერ დიზაინერს, რომ ყველაფერი მართლაც კარგად დამთავრდა! საკუთარი ჩვენების ბოლოს, როცა ირაკლი მადლობის მოსახდელად თავის რჩეულ ფრანგ მოდელს („ფრანგ“ ზანგს!) პოდიუმზე შემოჰყვა, დარბაზი ტაშით და „ბრავოს!“ ძახილით დაინგრა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მოდის პირველი საერთაშორისო კვირეული სრული სვლით ამოძრავდა...



ავთო ცქვიტინიძე კმაყოფილებას ვერ მალავს

სამწუხაროდ, საგაზეთო ფართობი იმის საშუალებას არ იძლევა, რომ კვირეულის ყველა მონაწილეს ღირსეული პატივი მივაგოთ. მით უფრო არა გვაქვს პრეტენზია, უცხოელ დიზაინერთა შემოქმედება კომპეტენტურად შევაფასოთ, მაგრამ იმის თქმის უფლება კი ნამდვილად გვაქვს, რომ საერთაშორისო ფესტივალზე საქართველომ გაიმარჯვა, ფესტივალი შედგა და ნაომარი, ანექსირებული, ოკუპირებული ქვეყნის სახელი და იმიჯი ჯეროვნად წარმოჩინდა.

მოდა მარტოოდენ მშვენიერება და სილამაზე არ არის, მოდა სერიოზული კომერცია და ბიზნესია, ქვეყნის პრესტიჟი და ეროვნული თვითმყოფადობაა. კარგი დიზაინერი ისევე ემსახურება ადამიანთა სოციალური ყოფის გაუმჯობესებას, ამაღლებული განწყობის შექმნას, თითოეული ჩვენგანის ჯანსაღ ღიმილსა და ჯანმრთელობას, როგორც ყველა სხვა მიწიერი პროფესიის ადამიანი.

კიდევ ერთხელ ჩამოგითვლით იმ დიზაინერებს, რომლებმაც საქართველოს მოდის პირველ საერთაშორისო კვირეულზე, საკუთარი ასაკისა და გამოცდილების შესაბამისად, თავისებური ხიბლი და სახელმწიფოებრივი იმიჯი შემატეს ქვეყანას: **ავთანდილ ცქვიტინიძე, ირაკლი რუსაძე, თამუნა ინგოროყვა, ლაკო ბუკია, ქეთი ჩხიკვაძე, ლელა კულიანი, მახარობლიძე/ოძელაშვილი, ზენკა და მარი, ლოლიტა მესხი, ბიჭოლა, თათა ვარდანაშვილი, გოგა ნიჟარაძე, თეონა ელიზბარაშვილი, ანუკა ქებურია...**

ახლა კი რამდენიმე დიზაინერის „ცხელ-ცხელ“ შთაბეჭდილებებს მოვუსმინოთ:

**ავთანდილ ცქვიტინიძე: დამწყები დიზაინერი არა ვარ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ქართული კვირეული ძალიან მაგარი გამოდგა. მშვენიერი გამოცდილება მივიღე, ახალი დიზაინერები გავიცანი. უცხოელები „გადაირივნენ“ ჩემი და სხვა ქართველი დიზაინერების ნამუშევრებით. ვიდეოთი და ფოტოთი გადაიღეს ყველაფერი, რაც მოეწონათ. გავცვალეთ ნამუშევრები (რა თქმა უნდა, იდეების დონეზე). ყველას ვულოცავ ამ გამარჯვებას. ვნერვიულობ, განვიცდი... ქართულ მოდას, ქართველ დიზაინერებს დიდი მომავალი აქვს.**

**თამუნა ინგოროყვა: გმადლობ, უფალო! ყველაფერი კარგად დამთავრდა. ამდენი ჩემს ცხოვრებაში არ მინერვიულია. ძალიან მომეწონა ირაკლი ნასიძის მოდელები. უნიჭიერესი დიზაინერია, ამიტომაც დამკვიდრდა მსოფლიო მოდის დედაქალაქ პარიზში. ყველას ვულოცავ გამარჯვებას, თუმცაღა, ასეთ ფართომასშტაბიან ღონისძიებაში გამარჯვება კი არა, მონაწილეობაა მთავარი. ღმერთმა მშვიდობა დაგვიმკვიდროს, რომ საქართველოში კიდევ ხშირად მოეწყოს ასეთი საერთაშორისო კვირეულები.**

**ლაკო ბუკია: მართალია, მეც ძალიან ვღელავ, მაგრამ მადლობის მეტი რა მეთქმის. იმ 18 მოდელს შორის, რომელთა სახეები საქართველოსა და ევროპაში კარგად არის ცნობილი, მეც ვიყავი. მაყურებელი არჩევანს მოდის პროფესიონალებს შორის აკეთებდა. გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ მრავალი ორიგინალური და ლამაზი ტანსაცმელი იყო პოდიუმზე. მე ჩემს ხელწერას არ ვუღალატე და შავთეთრი ფერების „თამაში“ წარმოვადგინე. რამდენიმე მოდელი მოიწონეს და უკვე უცხოელი შემკვეთებიც გამომიჩნდნენ. ძალიან კარგია, რომ ასეთი კვირეული მოეწყო. ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა დიზაინერისთვის, მსგავს კონკურსებში მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა აქვს. გმადლობთ, კვირეულის ორგანიზატორებო!**

* * *

მკითხველს შევახსენებ, რომ საქართველოს პირველი საერთაშორისო მოდის კვირეულის სულისჩამდგმელები იყვნენ კომპანია **„ფეშენ გრუპი“, სააქციო საზოგადოება მადნეული, კომპანია კვარციტი, საქართველოს ლატარიის კომპანია** და **„აუთდორ.ჯი“**.

ბუნებრივია, კვირეული საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დიდი მხარდაჭერით გაიმართა. სწორედ ამიტომ ჰქონდა მას დიდი სახელმწიფოებრივი რეზონანსი.

**რუსუდან ქობულია**

**მურად ალაშვილის ფოტო**





ავთანდილის სტილი



მრავალეროვანი ჟიური

დიდი ტერორი?

ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული" თუ ქვეყნის გადარჩენა?

1934 წელს კომინტერნში მკვეთრად ძლიერდება გ.დიმიტროვის პოზიცია, რომელმაც ბრწყინვალედ მოიგო ორთაბრძოლა გერინგთან პროცესზე რეიხსტაგის დაწვასთან დაკავშირებით. დიმიტროვს კი ჰქონდა თავისი წარმოდგენები კომუნისტური მოძრაობის განვითარების პერსპექტივასთან დაკავშირებით. 1934 წლის აპრილ-ივნისში დიმიტროვი დაბეჯითებით ცდილობდა დაერწმუნებინა სტალინი, უარი ეთქვა „სოციალ-ფაშიზმის" ძველ თეორიაზე, რომელიც აიგივებდა სოციალ-დემოკრატებსა და ფაშისტებს. 1 ივლისს მან ბელადს მისწერა წერილი, რომელშიც ეკითხებოდა, სწორია თუ არა ძველებურად მკაცრი ხაზი საკითხში სოციალ-დემოკრატიის შესახებ? სტალინმა უპასუხა, რომ დიახ – სწორია.

ხოლო უკვე 1934 წლის 27 ივლისს საფრანგეთში კომუნისტებმა და სოციალისტებმა ხელი მოაწერეს პაქტს ფაშიზმის წინააღმდეგ მოქმედებათა ერთობის შესახებ. მაგრამ მაშინ ხომ სახალხო ფრონტის შექმნის არანაირი კურსი არ ხორციელდებოდა. რა გამოდიოდა, მოსკოვი სულაც არ აკონტროლებდა ფრანგ კომუნისტებს და აძლევდა მათ პოლიტიკური მანევრების სრულ თავისუფლებას? ინგრევა მითი სკპ (ბ)-ს კონტროლის შესახებ კომინტერნზე?

ამას თუ სხვა კუთხიდან შევხედავთ? თუ ვაღიარებთ, რომ სტალინს მაშინ არ გააჩნდა ხელისუფლება და იძულებული იყო, ანგარიში გაეწია ზოგიერთი გავლენიანი პოლიტიკური ძალებისთვის? აი მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დგება.

მოვლენათა შემდგომი განვითარება მხოლოდ ადასტურებს იმას, რომ სტალინს არ სურდა დათანხმებოდა სახალხო ფრონტის იდეას. ის საქმეს აჭიანურებდა 1934 წლის ოქტომბრამდე, როდესაც მას დიმიტროვმა მისწერა რაღაც ულტიმატუმის მაგვარი. 15 ოქტომბერს სტალინი მიიღებს ლეგულბის წერილს, რომელშიც ბულგარელი კომინტერნელი მკაცრად აკრიტიკებდა თავად კომინტერნის ხელმძღვანელობას (ესე იგი იმავე სტალინს) და მოითხოვდა მკაცრ შემობრუნებას სოციალ-დემოკრატებთან გაერთიანების მხარეს.

ათი დღის შემდეგ სტალინმა დიმიტროვს თანხმობით უპასუხა. მაგრამ მაშინაც კი კომინტერნის მორიგი VI კონგრესის (რომელზეც იგეგმებოდა ახალი კონცეფციის მიღება) მოწვევა გააჭიანურა 1935 წლის მაისამდე. ცხადია, ამ ხნის განმავლობაში ბელადი ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია სახალხო ფრონტის მომხრეებისთვის.

უკვე თავად კონგრესზე სტალინს თავი ეჭირა ხაზგასმულად განზე მდგომად. ის სიტყვებით და მოხსენებით არ გამოსულა და სხდომებს თითქმის არ ესწრებოდა. კონგრესის ერთი თვის მუშაობის მანძილზე ის იქ გამოჩნდა ერთხელ, ან შეიძლება სულ ორჯერ, თანაც ისე ჯდებოდა პრეზიდიუმში, რომ მას სვეტი ფარავდა.

სრულიად ცხადია, რომ სტალინის ჯიუტი წინააღმდეგობის დაძლევა შეეძლო მხოლოდ პარტიისა და სახელმწიფოს მეტად გავლენიან ძალას. არც დიმიტროვს, არც ნებისმიერ ვინმეს კომინტერნის ხელმძღვანელობიდან ასეთი რამ არ შეეძლო. ყველაზე ლოგიკური იქნებოდა გვევარაუდა, რომ ასეთი ძალები მემარცხენე კონსერვატორები იყვნენ. ძნელად რომ ვინმეს მათ შორის შეეძლო მიეღწია ბელადზე ასეთი პოლიტიკური გამარჯვებისთვის.

რეგიონალებში ძალიან შეშინებული იყვნენ ფაშიზმის გაძლიერებით. ომი არავითარ აღლეგოდ მათ ხელს, ეს იქნებოდა მშვიდი და ლაღი ბატონობის დასასრული. ამაში მემარცხენე კონსერვატორები ერთიანნი იყვნენ სტალინთან, რომელსაც არ უნდოდა ომი, ზოგადეროვნული ინტერესების შესაბამისად. ამიტომ ისიც და ისინიც საჭიროდ მიიჩნევდნენ დასავლეთის დემოკრატიებთან დაახლოებას, რათა აეგოთ კოლექტიური უშიშროების სისტემა. მაგრამ სტალინს მიაჩნდა, რომ ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა გერმანიასთან დაახლოების გზითაც. როგორც მოქნილ პოლიტიკოსს, მას აუცილებლად მიაჩნდა ჰქონოდა რამდენიმე ვარიანტი – რათა შესაძლებელი ყოფილიყო არჩევნის შესაძლებლობა საგარეოპოლიტიკური სიტუაციის შეცვლის შესაბამისად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ სხვადასხვა სიტუაცია იქნებოდა, უნდა შეგვეძლო ქვეყნის სხვადასხვა ვარიანტიც. ამის გათვალისწინებით აწარმოებდა ის კიდეც საიდუმლო მოლაპარაკებას გერმანელებთან.

მაგრამ მემარცხენე კონსერვატორებისთვის, მათი აზროვნების თავისებურების და დოგმატიზმით, ასეთი მოქნილობა მიუწვდომელი იყო. ამ ხალხს ფაშიზმი აბსოლუტურ ბოროტებად მიაჩნდათ, ვისთანაც არ შეიძლებოდა წასულიყავი არანაირ ტაქტიკურ მანევრებზე. ისინი ხელმძღვანელობდნენ თეორიით, რომლის შესაბამისადაც ფაშიზმი იყო ღია, მონოპოლიათა ტერორისტული დიქტატურა, გაცილებით უფრო ცუდი, ვიდრე ბურჟუაზიული დემოკრატია. ეს ფორმულა, რომელიც, სხვათა შორის, შექმნა დიმიტროვმა, არ იყო სწორი. დიახ, ჰიტლერმა განამტკიცა მონოპოლიები (მათ შორის საშუალო და მცირე კაპიტალის ხარჯზეც), მაგრამ მათ წაართვა პოლიტიკური ხელისუფლება. ამიტომაც პრინციპულად ის უფრო ახლოს იყო სოციალიზმთან, ვიდრე ვინმე სხვასთან ბურჟუაზიული (ლიბერალური ან სოციალური) დემოკრატებიდან, რომლებიც ყოველთვის ემორჩილებოდნენ დიდ მონოპოლისტურ კაპიტალს. სხვა საქმეა, რომ მისი განუსაზღვრელი პოლიტიკური ამბიციები წარმოადგენდნენ სერიოზულ პრობლემას. სტალინიც ამიტომ უდგებოდა ამ პრობლემას გეოპოლიტიკურად, არა იდეოლოგიური სქემების, არამედ რეალური ეროვნული ინტერესების შესაბამისად. ამ მიდგომის თანახმად, შეიძლებოდა მეგობრობა ფაშიზმთანაც კი, ოღონდ ამას ჩამოეშორებინა უბედურება თავისი ქვეყნისთვის. ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, აძლევდა მას დროს გაძლიერებულიყო და მომზადებულიყო სერიოზული შეტაკებებისთვის.

აი, სწორედ ასეთი მიდგომით არ შეეძლოთ შეიარაღებულიყვნენ მემარცხენე კონსერვატორები. თანაც ბევრი მათგანი უკიდურესად გერმანოფობულად იყო განწყობილი, რასაც, გარკვეული თვალსაზრისით, უწყობდა ზოგიერთი მათგანის ეთნიკური წარმომავლობა. მაგალითად, ს.კოსიორი, ეთნიკური პოლონელი, გერმანელების აშკარა მოძულე იყო. დისკუსიის დროს, რომელიც გაჩაღდა ზავის დადებასთან დაკავშირებით ბრესტში, მან სრულიად ანტილენინური პოზიცია დაიკავა, თანაც ის არ ყოფილა „მემარცხენე კომუნისტი" (რომლის ლიდერი ძერჟინსკიც, უნდა ითქვას, ასევე პოლონელი იყო).




მოვიყვან საინტერესო ამონარიდს კოსიორის თანაშემწის კოსინოვის მოგონებიდან. მას დავალებული ჰქონდა დაეწერა თავისი ბოსის ბიოგრაფია. ერთგულმა და მცდელმა თანაშემწემ გადაწყვიტა შეეკრიბა რაც შეიძლება ბევრი მასალა ეგრეთ წოდებული პირველწყაროდან. მან რამდენიმე საღამო გაატარა კოსიორთან საუბარში, სადაც ეს უკანასკნელი იხსენებდა თავისი ცხოვრების მომენტებს. და აი, საუბარი ჩამოვარდა 1918 წლის მოვლენებზე. უფროსსა და ხელქვეითს შორის გაიმართა ასეთი დიალოგი:

„ – როგორ შეგვეძლოთ, ბატონო სტანისლავ, ვერ გაგვეგოთ ვ.ი.ლენინის პოზიციის სისწორე ამ საკითხში? თქვენ ხომ მასთან ასე ახლოს იყავით, ცხოვრობდით ერთნაირი აზროვნებით – და უცებ რაღაც ეჭვი.

– თქვენ ამას ვერ გაიგებთ, კოსინჩიკო, თქვენთვის ისტორია ძალიან მარტივია.

– თქვენ ხომ, ბატონო სტანისლავ, არასოდეს უთანაგრძნობდით მემარცხენეებს და უცებ თქვენი პოზიციები ერთმანეთს დაემთხვა.

– თქვენ რა გესმით, კოსინჩიკ, ადამიანის ფსიქოლოგიისა? ადამიანის სულში ყველაფერი როდი აისახება პირდაპირხაზოვნად. მემარცხენეები აქ არაფერ შუაში არიან. საქმე უფრო გაცილებით რთულად იყო. ცხადია, რაღაც გავლენა ჩემზე ჰქონდა ძერჟინსკის განწყობილებას, რომლის პოზიციასაც მე არაფრით არ ვუკავშირებდი მემარცხენეების პოზიციას...

– როგორ აღიქვა ლენინმა თქვენი შეცდომა?

– აღიქვა სწორად. ლენინი, როგორც ყოველთვის, შეურიგებელი იყო ნებისმიერი მერყეობისადმი. ჯერ ძალიან აღშფოთებული იყო. მხოლოდ მოგვიანებით გახდა უფრო რბილი. „გერმანელი იმპერიალისტებისადმი სიძულვილმა თქვენ დაგაბრმავათ, – მითხრა მან. – პოლიტიკის საკითხებში უნდა გქონდეს ჭკუა და არ დაემორჩილო გრძნობებს. რას იზამ, გეზიზღებათ გერმანელი დამპყრობლები, წახვალთ უკრაინაში!"

აქ უმალვე იპყრობს ყურადღებას კოსიორის ქედმაღლურ-ბატონური დამოკიდებულება თავისი თანაშემწისადმი, რომელსაც, როგორც ბიჭუნას, ისე მიმართავდა – „კოსინჩიკოო". კიდევ კარგი რომ „თქვენობით" (სხვათა შორის, „კოსინჩიკს" უბრალოდაც შეეძლო გაეკეთილშობილებინა თავისი შეფი). კოსიორს ლიად, აშკარად ეპარება ეჭვი იმ კაცის გონიერებაზე, ვინც თავის პირად დროს კარგავს მის ბიოგრაფიაზე. აიო, შენ როგორ შეიძლება გაიგოო... ან კი რა არის აქ გასაგები? კოსიორმა ისე აგრძნობინა ლენინს თავისი სიძულვილი გერმანელი (რატომ არა ფრანგი ან ინგლისელი?) იმპერიალისტებისადმი, უფრო ზუსტად – გერმანელებისადმი, რომ მან „მგზნებარე რევოლუციონერი" მოისროლა უკრაინისკენ. ვითომ, ახლავე წადი აქედანო, იქნებ შენ, გადარეული მოგკლან კიდეც საყოველთაო სიმშვიდისთვისო.

სხვათა შორის, სიტუაცია უკრაინაში საკმაოდ სპეციფიკური იყო. აქ ძალიან ძლიერი პოზიციები ეკავათ იქაური მემარცხენე ესერების პარტიიდან გამოსულებს, რომლებიც თავიანთ თავს „ბოროტბისტებს" უწოდებდნენ. მაგალითად, ერთ ხანს „ბოროტბისტი" ლუბჩენკო სათავეში ედგა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს. ბევრი მონაცემით, სწორედ ის იყო უკრაინის კომპარტიაში სტალინის ერთ-ერთი ყველაზე თავგამოდებული მოწინააღმდეგე. თავის დროზე მემარცხენე ესერები ხომ კაიზერის გერმანიასთან რევოლუციური ომის მხურვალე ქომაგები იყვნენ. ამით ისინი ეთანხმებოდნენ მემარცხენე კომუნისტებს, რომელთა პოზიციაზეც ბრესტის ზავთან დაკავშირებით იდგა კოსიორიც.

გერმანელებისადმი დიდი სიყვარულით არც ლატვიელი ეიხე გამოირჩეოდა. 1934 წელს მან ცენტრალურ კომიტეტს მიაწოდა სიგნალი „საბოტაჟის შესახებ ხორბლის მოსავლის აღების დროს და ფაშისტურ გამოვლინებათა შესახებ ჰიტლერის დახმარების მიღების ნიადაგზე". „საბოტაჟსა" და „აქტივიზაციას" თითქოს ადგილი ჰქონდა საბჭოთა გერმანელების კოლონიაში, რომლებიც დასავლეთ ციმბირში ცხოვრობდნენ. ეიხემ საკუთარი ინიციატივით გერმანელებით დასახლებულ ტერიტორიაზე გაგზავნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჯარები, რომლებმაც იქ მასობრივი ჟლეტა მოაწყვეს.

გასაგებია, რომ წითელ ბარონებს უბრალოდ არ ჰქონდათ უნარი, აეთვისებინათ ხალხთა შორის ურთიერთობათა სტალინური დიალექტიკა. მათ იფიქრეს, იფიქრეს და მოიფიქრეს (დიმიტროვის მსგავსი საერთაშორისო ავანტიურისტების კარნახით) გააძლიერონ ძალისხმევა რუსეთის ინგლისთან და საფრანგეთთან, აგრეთვე ევროპის სოციალ-დემოკრატიასთან დაახლოებისთვის. ეს უკანასკნელი ორიენტაციას სწორედ დასავლეთის დემოკრატიაზე იღებდა, იქაური პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემით აღფრთოვანებული. სტალინი კი უპირატესობას ანიჭებდა მოლაპარაკებოდა არა მსახურებს, არამედ ბატონ-პატრონებს – ინგლისისა და საფრანგეთის საქმიან და სამხედრო წრეებს. ის მათგან არც ელოდა განსაკუთრებულ შედეგებს, მაგრამ სოციალ-დემოკრატებთან გაერთიანებას უბრალოდ დამპალ ნომრად მიიჩნევდა.

და მართალიც იყო. ესპანეთში, სადაც სახალხო ფრონტმა გაიმარჯვა, მემარცხენე სოციალ-დემოკრატებში შეეცადნენ უმალვე მიებაძათ ლენინისთვის, მემარჯვენეებმა კი 1939 წლის ზაფხულში უბრალოდ ჩააბარეს მადრიდი გენერალ ფრანკოს ჯარებს. საფრანგეთში კი, სადაც აგრეთვე შეიქმნა სახალხო ფრონტის მთავრობა,თავად სოციალისტებმა 1937 წელს დაარღვიეს პაქტი კომუნისტებთან მოქმედების ერთიანობის შესახებ. სახალხო ფრონტი შეიქმნა აგრეთვე შორეულ ჩილეში, მაგრამ იქაც ამას არავითარი განსაკუთრებული შედეგი არ გამოუღია.

სტალინს ხშირად ლანძღავენ იმის გამო, რომ არ უყვარდა სოციალ-დემოკრატები. იხსენებენ, თუ როგორ აიგივებდა იგი მათ ფაშიზმთან. ირწმუნებიან, ბელადს რომ გერმანელი კომუნისტებისთვის მიეცა სოციალ-დემოკრატებთან კავშირის ნება, აღარ იქნეოდა ჰიტლერი, მაშასადამე, აღარც ომი იქნებოდაო.

ეს გარდაქმნის საზიზღარ ეპოქაში უკიდურესად გავრცელებული „მოსაზრებანი" არ ითვალისწინებენ ბევრ ისტორიულ რეალიებს. დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ თავად ევროპელი სოციალ-დემოკრატები კომუნისტებს ფაშისტებთან აიგივებდნენ. ისევე, როგორც სტალინი. მათ ტერმინი „კომუნოფაშიზმიც" კი გამოიგონეს. ისინი უკიდურესი ანტისაბჭოთა განწყობილებით გამოირჩეოდნენ და, სადაც შესაძლებელი იყო, ხელს უშლიდნენ ჩვენს ქვეყანასთან დაახლოებას. განსაკუთრებით საზიანო გერმანელი სოციალ-დემოკრატების პოზიცია იყო, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ ჩაეშალათ საბჭოთა კავშირ-გერმანიის სამხედრო თანამშრომლობა. მათმა აქტივისტებმა 20-იან წლებში გადმოიბირეს ჰამბურგის ნავსადგურის მტვირთავები დაემტვრიათ რამდენიმე სამხედროტვირთიანი ყუთი, რომლებიც საიდუმლოდ ჩამოიტანეს სსრ კავშირიდან. როდესაც ყუთები დაამტვრიეს და მათი შიგთავსი ცნობილი გახდა ხალხისთვის, სოციალ-დემოკრატებმა უმალვე მოაწყვეს სკანდალი პარლამენტში.

ასეთი „მოკავშირეებით" მეტად რთული იქნებოდა ჰიტლერის შეჩერება. მაგრამ წარმოვიდგინოთ თუნდაც, რომ გერმანიაში გაჩენილიყო სახალხო ფრონტი და აქედან გამოვიდა რაიმე ხეირი. ეს ნიშნავდა სამოქალაქო ომს გერმანიაში, სადაც ძლიერი ნაციონალური პარტია ვერასოდეს შეურიგდებოდა მემარცხენე ბლოკის გამარჯვებას. და ჩვენ მოგვიწევდა ამ ომში ჩაბმა. გერმანია კი ესპანეთი როდია, აქ მთელი ევროპა ყალყზე დადგებოდა, დაიწყებდა ყვირილს კომუნისტურ აგრესიაზე. და მაშინ ჩვენს წინააღმდეგ შეიქმნებოდა ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტი, რისი შექმნისაც ყოველთვის ეშინოდა სტალინს.

ომი ატყდებოდა გაცილებით ადრე, სადღაც 30-იანი წლების დასაწყისში. და საჭიროა იმის გახსენება, თუ რას წარმოადგენდა მაშინ ჩვენი არმია? და ჩვენც აღმოვჩნდებოდით ოკუპაციის ქვეშ. ასე კი ჰიტლერის მოსვლამ ხელისუფლებაში აწეწა გეოპოლიტიკური სიტუაცია ევროპაში. დასავლელი დემოკრატები ორ ცეცხლშუა აღმოჩნდნენ – ეროვნულ-ბოლშევიკურ რუსეთსა და ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიას შორის. მათ მოუწიათ მანევრირება, დაახლოებოდნენ ხან ერთს, ხან მეორეს, და თანაც ამ დროს მათ უსისინებდნენ ერთმანეთზე. ამ სირთულემ, ბოლოს და ბოლოს, გაართულა კიდეც მსოფლიო ომის დამთავრება. ხომ საიდუმლო არაა, რომ დასავლელი დემოკრატები თავიანთ მთავარ მტერს სწორედ წითელ აღმოსავლეთში ხედავდნენ. რომ არ ყოფილიყო ფაშისტური ბლოკი, სამანევროც არაფერი ექნებოდათ, დაიძვრებოდნენ აღმოსავლეთისკენ, ყველაფერი უცბად მოხდებოდა.

მაგრამ რატომ წავიდნენ მაინც სოციალ-დემოკრატები კომუნისტებთან კავშირზე, როდესაც სახალხო ფრონტის იდეა მოიწონეს? უბრალოდ, მათ მოუნდათ მიეღოთ დამატებითი პოლიტიკური სარგებელი. რატომ ვემტროთ, ვურტყათ ერთმანეთს შუბლები და მივიღოთ კოპები, ფიქრობდნენ სოციალისტური ინტერნაციონალის ბელადები, არ ჯობია მოვატყუოთ კომუნისტები, შევიდეთ მათთან კავშირში, შემდეგ კი ჩვენს ნებას დავუმორჩილოთ, გამოვიყენოთ საკუთარი უპირატესობანი. ამას შეეცადნენ სწორედ ფრანგი და ესპანელი სოციალისტები. თუმცა მათ არაფერი გამოუვიდათ, აქ უკვე სტალინი ფხიზლად იყო. მაგრამ თავიანთი ქვეყნების დანგრევა მათ მოასწრეს. შედეგად ესპანელ სოციალისტებს პანღური ფრანკომ ამოკრა, ფრანგებს – ჰიტლერმა. ფინიტა ლა კომედია.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 14-59.

ფეხბურთი

# რაც დავთესეთ...

**მას შემდეგ, რაც ამასწინანდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე ჩვენმა ვარდ-ყვავილოვანმა ხელისუფლებამ კუნთმაგარ „დამკვირვებელთა“ რიცხვმრავალი დესანტი გადასხა, ქართულ-უკრაინული ურთიერთობების საამური ხანა მხოლოდ პოლიტიკაში როდი იქცა ტკბილ მოგონებად.**

როგორც ჩეხეთში დასრულებულმა 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდმა დაადასტურა, შავ კატას მეზობელ-მეგობართა შორის სპორტშიც და, კერძოდ, ფეხბურთშიც გაურბენია, თუმცა იგი სათავეს ცოტა შორიდან იღებს.

შეგახსენებთ, რომ კონტინენტის წინა პირველობის შესარჩევ ტურნირში ჩვენი ქვეყნების ეროვნული ნაკრებები ერთ ჯგუფში თამაშობდნენ და საბედისწერო ქულები ოლეგ ბლოხინის შეგირდებმა სწორედ თბილისში დაკარგეს – 1:1 (ანგარიში ბოლო წუთზე სირაძემ გაათანაბრაძ, არადა შეხვედრის წინ ყველანი ირწმუნებოდნენ, რომ უმოტივაციოდ დარჩენილი „ჯვაროსნები“ მეტოქეს ჰუმანიტარულ გამარჯვებას უფეშქაშებდნენ.

ეტყობა, მაშინდელი კაზუსის გამოძახილია, რომ როგორც კი ვენდეტის შანსი მიეცათ, სლავებმა საპასუხო კვანტი დაგვიდეს.

უკვე გაუწყეთ, რომ ფინალური ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად მასპინძლებს უკანასკნელ ტურში ჰოლანდიელი თანატოლები უნდა დაემარცხებინათ მაინცდამაინც ანგარიშით 1:0, ხოლო გიორგი



დევდარიანის გუნდს ორი ან მეტი ბურთის სხვაობით ხახოლებისთვის უნდა მოეგო.

აღნიშნული ამოცანის პირველი ნაწილი ზუსტად ისე ამოიხსნა, როგორც ჩვენ გვაწყობდა, დისკვალიფიცირებული ჭანტურიასა და ლეგაშვილის გარეშე მოასპარეზე ქართველმა ჭაბუკებმა კი ძვირფასი ქულები დაკარგეს – 2:2 („დუბლი“ ვაკო ყაზაიშვილმა შეასრულაძ. ასე რომ, რაც დავთესეთ, ის მოვიმკეთ.

**საბოლოო მდგომარეობა:** ჩეხეთი, ჰოლანდია – 6-6, საქართველო – 4, უკრაინა – 1 ქულა.

ჩემპიონთა ლიგა

# ბოლო წუთების სინდრომი



**როგორც მოგეხსენებათ, 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის დაუვიწყარი ფინალი ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა. მართლაც, თითზეა ჩამოსათვლელი ისეთი დრამატული სპექტაკლები, როგორიც მაშინ ბარსელონას „ნოუ კამპზე“ „მანჩესტერმა“ და მიუნხენის „ბაიერნმა“ დადგეს – 2:1 (გერმანელთა კარში გოლები მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე შერინგემმა და სოლსკიაერმა გაიტანესძ.**

ვინა თქვა, სასწაულები არ მეორდებაო. მცირედი კორექტივებით მოვლენები ანალოგიური სცენარით ამავე გუნდების გუშინწინდელ შეხვედრაშიც განვითარდა, ოღონდ ფორტუნამ ამჯერად ბავარიელებს გაუღიმა.

მატჩი ისე დაიწყო, სტუმართა ქომაგები უკეთესს ვერც ინატრებდნენ – მეორე წუთზე ნანის ჩაწოდებულ საჯარიმოს რუნიმ ზუსტი დარტყმა შეაგება – 1:0. აქედან მოყოლებული, ინიციატივას ნელ-ნელა ლუი ვან გაალის ბიჭები დაეუფლნენ, თუმცა მათ იერიშებს ტრავმირებული რობენის არყოფნით გამოწვეული სიმწვავე აკლდა.

სამართალმა პური 77-ე წუთზე ჭამა, როცა რიბერის საჯარიმოს (ისევ სტანდარტული მდგომარეობაძ ცოცხალი კედლიდან ასხლეტილი შედეგიანი რიკოშეტი მოჰყვა – 1:1, ხოლო კვანძი უკანასკნელ წამებზე გაიხსნა – ამ ეპიზოდში ოლიჩმა ბურთი ევრას „მოპარა“ და – 2:1.

ამავე დღეს ლიონში გათამაშდა ჩემპიონთა ლიგის მატიანეში პირველი ფრანგული დერბი „ოლიმპიკი“ – „ბორდო“ 3:1 (ლოპესი – 2, ბასტოსი; შამაკიძ. მართალია, მასპინძლებმა საპასუხო ბრძოლის წინ სოლიდური ფორა შეიქმნეს, მაგრამ არაა გამორიცხული, ერთი კვირის შემდეგ მათ გარკვეული პრობლემები გუნდის ბრაზილიელი ბომბარდირის ლისანდრო ლოპესის დისკვალიფიკაციამ შეუქმნას, რომელიც მეორე ყვითელი ბარათის გამო პარტნიორებს ვერ დაეხმარება.

თენგიზ გიორგაძე – 85

# „64 უჯრის“ მესაიდუმლე

**არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი საქმიანობით წარუშლელ კვალს ტოვებენ ცხოვრებაში და სხვებისთვის მისაბაძი ხდებიან. ასეთი პიროვნება გახლავთ ფუტკარივით მშრომელი კაცი, საჭადრაკო თემაზე 50-ზე მეტი წიგნის ავტორი, ლიტერატორი და ისტორიკოსი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი და მწვრთნელი, ფიზიკური კულტურის და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საერთაშორისო არბიტრი, პროფესორი თენგიზ გიორგაძე, რომელსაც 1 აპრილს დაბადებიდან 85 წელი უსრულდება.**

ის დიდი გზა, რომელიც სახელოვნად და რუდუნებით განვლო ფართო ასპარეზზე. მათ შორის არიან დიდოსტატები – ზურაბ აზმაიფარაშვილი, გიორგი ბაღათუროვი, ნატო ექგვერაძე, დავით შენგელია, დავით არუთინიანი, საერთაშორისო ოსტატები – სოფიკო ნიკოლაძე, ბესო ხეცურიანი, ინგა ხურცილავა და სხვები.

როგორც საერთაშორისო არბიტრი, ქართველ მოჭადრაკე ქალთა მონაწილეობით გამართულ ათ მსოფლიოს ჩემპიონატს დაესწრო და თითოეულ პაექრობას თითო წიგნი მიუძღვნა (საერთო ტირაჟით – 100 000 ეგზემპლარიძ, რომლებშიც საინტერესოდ არის მოთხრობილი ორთაბრძოლათა ბატალიები. მის ნაშრომთაგან განსაკუთრებით ყველა მო-



ბატონმა თენგიზმა, აღსავსეა წარმატებებით. ბავშვობიდანვე ეზიარა ბრძენთა თამაშის საიდუმლოებას და დღემდე მისი ერთგულია. თბილისის ჩემპიონი 1950 წელს გაზეთ „ლელოს“ ჭადრაკის განყოფილების გამგედ დანიშნეს და 34 წლის განმავლობაში უმწიკვლოდ ემსახურა ამ საქმეს. შემდეგ საჭადრაკო გაზეთ „მერანსა“ და ჟურნალ „ჭადრაკის სამყაროს“ ჩაუდგა სათავეში. 28 წლის განმავლობაში საქართველოს ტელევიზიაში საჭადრაკო ჟურნალ „სამორინეს“ წამყვანი და ავტორი გახლდათ. ხშირად აქვეყნებდა წერილებს „კომუნისტსა“ და „საქართველოს რესპუბლიკაში“. ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭადრაკის სპეციალიზაციის ერთ-ერთმა დამაარსებელმა უამრავ ახალგაზრდას გაუკვალა გზა ცხოვრების ჭადრაკისთვის (საერთოდ, ბრძენთა თამაშის მოყვარულთათვისძ სამაგიდო სამტომეული „ქართული ჭადრაკის მატიანეა“ აღსანიშნავი, რომელშიც ფართოდ არის გაშუქებული ქართული ჭადრაკის წარსული და აწმყო.

წელთა სიმრავლის მიუხედავად, ღვაწლმოსილი მემატიანე დღესაც მხნედ გამოიყურება, უწინდელი რუდუნებით ჩაჰკირკიტებს წარსულს და ახალ კრებულზე ფიქრობს.

იუბილეს გილოცავთ, ბატონო თენგიზ! ჯანის სიმრთელესა და შემოქმედებით დღეგრძელობას გისურვებთ!

**„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია**

**სურათზე: მილენკა ლაზარევიჩი, თენგიზ გიორგაძე და ნონა გაფრინდაშვილი.**

კალათბურთი

# მოდაშია 2:1

**იყო ვარიანტი, რომ საპლეიოფო სერიის მესამე სათამაშო დღის შემდეგ ოთხთა ფინალის ორი მონაწილე გამოვლენილიყო, მაგრამ...**

ეს შანსი რომ გამოეყენებინათ, ცსკას და „ოლიმპიაკოსს“ სტუმრად „ტაუგრესი“ და „პროკომი“ უნდა დაემარცხებინათ, მაგრამ ასე არ მოხდა და შესაძლებელია, კითხვას პასუხი დღეს გაეცეს.

ბასკებმა საკუთარ დარბაზში სპლიტერისა და ტელეტოვიჩის ძალისხმევით მოულოდნელად იოლად სძლიეს არმიელებს – 66:53, ხოლო პოლონურმა კლუბმა ამერიკელი ლეგიონერების ვულდსისა და ინინგის (18-18 ქულაძ კარგად დაწყებული საქმე მძიმე გამარჯვებამდე მიიყვანა – 81:78. ამ წყვილთა ბრძოლებში საერთო ანგარიში 2:1 გახდა რუსული და ბერძნული გუნდების სასარგებლოდ.

ასეთივე შედეგით იგებენ მეოთხედფინალურ ბატალიებს „ბარსელონა“ და „პარტიზანი“, თუმცა ისინი სამშაბათის რაუნდის შემდეგ დაწინაურდნენ. დღის გმირად კატალონიელთა ვეტერანი სნაიპერი ნავარო მოგვევლინა, რომელიც მარადიულ მეტოქესთან მადრიდის „რეალთან“ ესპანეთის დედაქალაქში გამართულ მატჩში პარტნიორებს 24 ქულითა და 8 მოხსნით შეეწია, ეს კი გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა – 84:73.



რაც შეეხება ბელგრადულ გრანდს, მისი ხსნა თელ-ავივის „მაკაბისთან“ ოკეანისგაღმელმა მაკალოხმა (18 ქულაძ და სერბული წარმოშობის ავსტრალიელმა მარიჩმა (16 ქულაძ იტვირთეს და წარმატებითაც – 81:73.

ინტერნეტიდან

## საბერძნეთი – უფეხბურთოდ?!

**ვითომდა ფეხბურთის მატჩებზე ძალადობის შემთხვევების მომატების გამო საბერძნეთის მთავრობამ შეწყვიტა ადგილობრივი სუპერლიგის სახელმწიფო დაფინანსება.**



**ქვეყნის საფეხბურთო საზოგადოებრიობამ ამ ზომებს „შანტაჟი“ უწოდა.**

გასულ კვირას ოთხ სტადიონზე გაიმართა ცემა-ტყეპა გულშემატკივართა მონაწილეობით. მარტში ათენის სტადიონის თანამშრომელი დასახიჩრდა საბერძნეთის ჩემპიონატზე ორი ლიდერის – „პანათინაიკოსსა“ და „ოლიმპიაკოსის“ შეხვედრაზე შუშხუნის ხელში აფეთქების გამო.

საბერძნეთის მთავრობაში სპორტის გენერალურმა მდივანმა პანაიოტის ბიცაკასისმა განაცხადა, რომ ასევე გაიყინება ლატარიისა და სპორტული პროგნოზირების სახელმწიფო კომპანიები. „საბერძნეთის მოქალაქეები გაცოფებულნი და დამწუხრებულნი არიან იმით, რომ მოუწევთ იმ ჩემპიონატების ყურება, ნდობას რომ არ იმსახურებს, ჩემპიონატებისა, სადაც მართავს ჯუნგლების კანონი და ბრმა ძალადობა“, – განაცხადა ჩინოვნიკმა.

სუპერლიგა აპირებს მთავრობასთან მოლაპარაკებას.

## ნულარ ირბენო!

**ალბათ გახსოვთ, რა აჟიოტაჟი გამოიწვია ბერლინში მძლეოსნების მსოფლიო ჩემპიონატზე 800 მეტრზე ქალთა სირბილში სამხრეთაფრიკელი კასტერ სემენიას გამარჯვებამ. ეჭვი შეიტანეს მის ქალობაში. ამაზე ბევრი რამ დაიწერა ჩვენს გაზეთშიც. მრავალი შემოწმების მიუხედავად დღემდე საბოლოოდ ვერ დაამტკიცეს მისი ქალობა თუ კაცობა.**

და აი, როგორც იოჰანესბურგიდან იუწყებიან, კასტერ სემანიას მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (IAAFძ ნება არ დართო, მონაწილეობა მიიღოს ტურნირების ტრადიციულ სერიაში Yellow Pages, რაზეც განაცხადი შეიტანეს სემენიას ადვოკატებმა.

ფედერაციის პასუხში ნათქვამია, რომ კასტერი მონაწილეობას ვერ მიიღებს ამ შეჯიბრებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მძლეოსნობის ფედერაციასაც და თავად სპორტსმენსაც დაედებათ დისციპლინური სასჯელი. შეგახსენებთ, რომ ბერლინის ჩემპიონატზე მისი ტრიუმფის შემდეგ ამ სპორტსმენის სქესობრივ მდგომარეობაზე ატეხილი აჟიოტაჟის გამო ქალიშვილი (?ძ აღარ მონაწილეობდა არც ერთ შეჯიბრებაში.

## ჰოკეი შეიყვარა

**მან გადაწყვიტა რესტლინგი ჰოკეიზე გაეცვალა. ლაპარაკია ცნობილ მოდელსა და მომღერალზე უილა ფორდზე. ქერათმიანმა ლამაზმანმა მიატოვა რესლერი ჩაკა ლიდელი „დეალსტრაბზის“ ფორვარდის მაიკ მოდანოს გამო. თავის კარიერაში ცნობილმა ამერიკელმა ჰოკეისტმა გაიმარჯვა თითქმის ყველა ტურნირში ოლიმპიადის გამოკლებით.**



თავის მხრივ უილასაც აქვს არც თუ ნაკლები მსახიობური გამოცდილება. ის მთავარ როლშია ფილმში „ანა ნიკოლი“, ერთ-ერთ წამყვან როლში ფილმში „მისწრაფება“, აგრეთვე მეორეხარისხოვან როლში სურათში „მე-13 პარასკევა“.

უნდა ითქვას ისიც, რომ ეს ლამაზმანი შევიდა 2001 წლის აშშ საუკეთესო საცეკვაო ჰიტების ათეულში. ინგლისური პრესის მიხედვით, ფორდი არის სპორტსმენების ყველაზე ლამაზი მეგობარი ქალი.

## ◉ აბონენტთა „დამცველები“

# ვის ხარჯზე ქველმოქმედ-მეცენატობს „მაგთიკომი“?

**„მაგთისა“ და „ბალის“ აბონენტები გაზაფხულის დადგომასთან ერთად ყველაზე დაბალი ტარიფით სარგებლობენ: წუთში 5 თეთრი, ხოლო ზარის წამოწყების საფასური 10 თეთრს შეადგენს. ვარაუდობენ, რომ ეს აქცია იმდენად პოპულარული გახდა, შესაძლოა საკმაოდ დიდ ხანს გაგრძელდეს. ფასდაკლება უკვე დიდი ხანია „ჯეოსელსაც“ აქვს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ჩართვა ფასიანია – 2 ლარი ღირს.**

წესით, მოაზროვნე ადამიანმა ზოგადად აქციაში უარყოფითი მუხტი არ უნდა ექნოს, რუსული გამოთქმის მიხედვით: „გაძლევენ? აიღე“, მაგრამ ის, რაზეც თქვენი ყურადღება უნდა შევაჩერო, სხვა რამ ნაკლს შეეხება.

ამაზე ქვემოთ.

განახლებულ ტარიფებთან დაკავშირებით პიარ-აქციები არ წყდება პრესის ფურცლებზე. ერთგან „მაგთიკომის“ მარკეტინგის სამსახურის უფროსი ირაკლი ლობჟანიძე ჟურნალისტს კომპანიის წარმატებებსა და მის სიკეთეებზე უყვება, რაც „მაგთისა“ და „ბალის“ აქციებს შეიძლება მოჰყვეს – აბონენტთა ჯიბის დაცვა (ყვლეფისგან – **თ. მ.**)... ცოტა ხნით მაინც.

იმაზე, რომ მობილური კომპანიები შეგნებულად ზრდიან ტარიფებს და ამას ქართულ ბაზარზე აბსოლუტურად არავინ აკონტროლებს, ამ რამდენიმე თვის წინათ ატეხეს ხმაური არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რასაც შემდეგ პოლიტიკური პარტიებიც შეუერთდნენ. ტელეფონით საუბრის გადასახადის მხრივ, ლამის ევროპის მაღალგანვითარებულ ქვეყნებსაც კი ვუსწრებთ. თუმცა ბაზრის კვლევის შემდეგ აღმოჩენილმა ხარვეზებმა დიდი ზეგავლენა არ მოახდინა მობილური კომპანიების არც ერთ ბრენდზე. ტარიფებს დავწევთო, ხმამაღლა არავინ ამბობს, მაგრამ აქციების საფარველქვეშ მოქცეული ტარიფების „გამეოთხედება“ კი დაიწყო. ჟურნალისტის კითხვას: გამოდის, რომ კომპანიას აქამდეც ჰქონდა შიდა ბაზარზე ფასის დაკლების რესურსი და თავს იკავებდაო, ირაკლი ლობჟანიძე ასე უპასუხებს: **„ფასის დაკლების რესურსი ყოველთვის არსებობდა, მაგრამ აქ მეორე მომენტია – რაც ნაკლებია კომპანიის მოგება, მით ნაკლებია რეინვესტირების შესაძლებლობაც. ამიტომ იმის თქმა, რომ „მაგთიკომს“ ფასდაკლების რესურსი აქვს და ამას არ აკეთებს, ცოტა არასწორია. კომპანია ამ ხნის მანძილზე ძალიან დიდ ინვესტიციებს ახორციელებდა, რაც მისი განვითარების ტემპებზეც აისახება. „მაგთის“ შემოსავლებიდან ლომის წილი იმას ხმარდება, რომ თქვენ მიიღოთ მაღალი ხარისხის კომუნიკაცია და, რაც მთავარია, უახლესი ტექნოლოგიები. დაუშვებელია, რომ „მაგთიკომმა“ ოდესმე მინიმალურ მოგებაზე იმუშაოს და ამის ხარჯზე ტექნოლოგიური პროცესი, ქართული კულტურის, ხელოვნებისა და განათლების მხარდაჭერა, მრავალრიცხოვანი სოციალური პროექტები, ქველმოქმედება – ანუ ნამდვილი, ჭეშმარიტად ქართული საქმის კეთება შეწყვიტოს“.**



კი, ბატონო, გასაგებია, რომ მობილურ ტექნოლოგიებს მუდმივი განახლება სჭირდება, თანამშრომლებს – ხელფასი (თუმცა ხელფასსაც გააჩნიაძ, ფართოვდებით, იხვეწებით, მაგრამ... ჩვენს ხარჯზე, ჩვენი ჯიბის გამოცარიელების გზით?! რაღაც სამართალი ამ ქვეყანაზე არ უნდა არსებობდეს? როცა ევროპის სტანდარტით აღიარებულ ტარიფებს წინ უსწრებ ჯერ კიდევ განვითარებად თუ ვერგანვითარებულ საქართველოში, ანუ **ქველმოქმედებას ეწევი იმის ხარჯზე, რომ თურმე მე მახდევინებ ულირალს, ეს არის თანადგომა? შენი ჯიბიდან რას იღებ, შენი რეალურად მისაღები მოგებიდან ერთ თეთრს თუ იკლებ?** სოციალურ პროგრამებს ვახორციელებთო თავი რომ გამოიდეთ, სირცხვილი არ არის, როცა თურმე ადვილად შეიძლება ტარიფის განახევრება მაინც და იმ მიზეზით, რომ ქველმოქმედი ხარ, სწორედ სოციალურ-ეკონომიკურ სფეროს უტევ, ხალხს ატყავებ?!

კიდევ კარგი, რომ თქვენი პირით აღიარებთ, ფასის დაკლების რესურსი ყოველთვის არსებობდაო. ადრე გეთქვათ და იმით მაინც ვიამაყებდით, რომ ქველმოქმედები ვართ, ყოველი ჩვენი საუბრის თითო წუთიდან გაჭირვებულს ათი თეთრით მაინც ვეხმარებით, რომ კულტურა, განათლება და ხელოვნება ჩვენს მხრებზე დგას და ქართულ საქმეს ვაკეთებთ.

**ბოლოს და ბოლოს, ქველმოქმედებისა და მეცენატობის პრეტენზია რომ გაქვთ, თანაც თურმე სხვისი (ჩვენიძ ჯიბის გამოფხეკის ხარჯზე, ბოდიში მაინც მოიხადეთ ან მადლობა გადაგვიხადეთ!..**

**თეა მოსია**

## ◉ ინფორმაცია

### შაქრის ფასი მცირდება

**საქართველოში შაქრის ფასის კლების ტენდენცია გრძელდება. ბოლო პერიოდში ფასის კლებამ თითქმის 50 თეთრი შეადგინა კილოგრამზე და დღეის მდგომარეობით ფასები შაქარზე წვრილ მაღაზიებში გახდა 1.90-2.00 ლარი, ხოლო მსხვილ სუპერმარკეტებში 1.80-1.90 ლარი. ბოლო პერიოდში, შაქრის ფასმა კიდევ 10 % დაიკლო.**




**ექსპერტები და შაქრის წარმოების წარმომადგენლები ბოლოდროინდელ ფასის კლებას საფონდო ბირჟებზე თეთრ შაქარზე და ნედლეულზე ფასების მკვეთრ შემცირებას უკავშირებენ. საფონდო ბირჟებზე ბოლო პერიოდში ფასების მკვეთრი ვარდნა შაქრის ახალ მოსავალს უკავშირდება, რომელმაც მინიმუმამდე შეამცირა დეფიციტი, რომელიც მსოფლიოში შეიქმნა. უმსხვილესი შაქრის იმპორტიორი ქვეყნები, როგორიცაა ინდოეთი, ბრაზილია, კუბა შაქრის ლერწმის და ნედლეულის სერიოზულ დეფიციტს განიცდიდნენ, რამაც საფონდო ბირჟებზე არნახულად გაზარდა ფასები, რისი პრეცედენტიც მსოფლიოში არ დაფიქსირებულა ბოლო 30 წლის განმავლობაში.**

### „კახელმა ბოშებმა“ გაერთიანება დააფუძნეს

**კახეთში ბოშათა გაერთიანება „რომა“ დაფუძნდა. გაერთიანების ოფისი დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ლენინოვკაში განთავსდა, სადაც რეგიონის მასშტაბით ყველაზე მეტი ბოშათა ოჯახი ცხოვრობს.**

**როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს გაერთიანების ხელმძღვანელმა ვენერა იუნენკო - მარტყოფლიშვილმა განუცხადა, ორგანიზაცია ეთნიკურ უმცირესობათა ევროპული ცენტრის დახმარებით შეიქმნა. ორგანიზაციის მიზნებია ბოშათა უფლებების დაცვა, ბოშების განათლება და საზოგადოებაში ინტეგრაცია, ბოშების კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება.**

**სოფელ ლენინოვკაში ბოშათა 18 ოჯახი თითქმის 40 წელია რაც ცხოვრობს. უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამაში მხოლოდ 4 ოჯახია ჩართული, დანარჩენებს დაბადების მოწმობები და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები არა აქვთ.**

**ჯი-ეიჩ-ენ**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## ◉ შენ ჩვენთვის როგორ არა ხარ...

**ანზორ აბულაშვილი**

### ზაურ ბოლქვაძის მონატრება



ზაურ ბოლქვაძეს ვიხსენებ, –
მრავალთა შემტკბობ ძმას,
ქართველ პოეტთა რჩეულშიც
განსაკუთრებულ ხმას.

სხვის მადიდებელ-მაქებარს,
თავად დადრეკილ თავს,
ჩვენ კი არ გვგავდა,
შურ-ბოღმით
თეთრზეც რომ ვამბობთ შავს.

იუმორს მისას ვიხსენებ,
გესლით რომ არვის
სწვავს, –
მხოლოდღა რამ სალაღობოს,
არა – ეკალს და ნარს.

ვიხსენებ გულით მომღიმარს
ვით თბილ და მზიან დარს,
მის გაფიცხებულ
სტრიქონებს,
უცხო ლექსსა და ზმას.

ზაურ ბოლქვაძეს ვიხსენებ
ნაღდ ვაჟკაცსა და ყმას,
თუმცა გვეძმო და გვეფერა,
მაინც დღეს მიგვცა მწარს –
როცა უდროოდ დაადგა
საიმქვეყნიო გზას.

ესეც თავადვე ინება, –
ჟამს ვერ შეეწყო ავს...
მოესურვება, მოგვივა,
არ ჰკითხავს წვიმა-ქარს.

სულეთს შევა და გამოვა,
ვით თავის სახლის კარს...
ნეთუღა კვლავ გავიგონებთ
მის ძარღვებდამსკდარ ხმას.

ბევრჯერ უგმირეს მახვილი,
არ წაიცდენდა ავს...
გერი ამ გულღრძო
სოფლისა
გულში ჩაეკრა ცას.

31/III.10 წ.



მეუღლე ნანა, შვილი თემური, შვილიშვილები რატი, ნანუკა დოლიძეები, რძლები ქეთი გაგოშიძე, ციალა, დოდო, ძმისწულები ზურაბ, ნინო, ზაზა, დავით დოლიძეები, მძახალი ნუნუ გაგოშიძე, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მირიან (კუწუძ ვლასის ძე
დოლიძე

პანაშვიდი 1, 2 IV, 17 სთ. გამოსვენება 3 IV, 14 სთ. მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზირი, III კვარტალი, III კორპუსი, IV სადარბაზო.

---

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანატი და ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ თსუ აკადემიური საბჭოს წევრს, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელს, სრულ პროფესორს რევაზ გველესიანს გარდაეცვალა

დედა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები გიორგი, ნინო, რძალი თეა, შვილიშვილები ვარლამ, მარიამ ჭილაშვილები, სიძე როლანდ, შვილიშვილი ნიკა გილიგაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარიამ სარიდონის ასული
კირვალიძე-ჭილაშვილისა

პანაშვიდი 1, 2 IV, 17 სთ. გამოსვენება 3 IV, 14 სთ. მის. ქ. თბილისი, პატარძეულის ქ. №12.

**განცხადება**

**სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭო იწვევს საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრებას, რომელიც ჩატარდება 2010 წლის 30 აპრილს, 12 საათზე, ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ბ-ში, საზოგადოების ოფისში. საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განისაზღვრა 2010 წლის 30 მარტი.**

**დღის წესრიგი:**

1. 2010 წლის შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება;
2. აუდიტორის არჩევა.

საზოგადოების აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში მათი მონაწილეობის უფლება კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს სს „კავკასრეესტრი“, მდებარე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ა.

**განცხადება**

**ქართული კომპანია იწვევს ქალბატონებს**

გაყიდვების მენეჯერის ვაკანსიაზე. თავისუფალი სამუშაო გრაფიკით. კომპანია ახორციელებს გამოცდილი მკურნალი ექიმისა და კოსმეტოლოგის მაღალი დონის მომსახურებას უნიკალური ტექნოლოგიების გამოყენებით.

**კომპანიის მენეჯერის ტელეფონები: 39-30-05, 893-66-02-26.**

**განცხადება**

**იყიდება ჭურჭლის სარეცხი მანქანა „სიმენსი, ლედი-45“, ფასი 300 ლარი. ტელ. 858 12 88 60.**

## დაიჯესტი

### საჭმელი მიიღე – გაიწიე!



**მტაცებელი ფრინველების ბარტყებისთვის მთავარია საკვები, ამიტომ რა გასაკვირია, რომ ორნიტოლოგები დააინტერესა ბუდეში მათი განაწილების პრინციპმა. ერთი შეხედვით, პასუხი მარტივია – საკვებს ეუფლება ის, ვინც უფრო ძლიერია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ განაწილების, უფრო სწორად კი „ძალით დაუფლების“ პრინციპს სინამდვილესთან არანაირი კავშირი არა აქვს.** ყველაფერი გაცილებით სამართლიანად ხდება – აღმოჩნდა, რომ „თავხედთა“ გასაუვნებლად დაცვის გარკვეული მექანიზმები მოქმედებს: ბუდესთან მიფრენილი მშობლები მუდამ ერთსა და იმავე ადგილზე ჯდებიან, ნისკარტდაფჩენილი ბარტყები კი საკვების მიღებისთანავე განზე იწევიან. გაირკვა, რომ საკვების მიღების შემდეგ განზე გაწევის რეფლექსი ბარტყებს თანდაყოლილი აქვთ. ეს, უბრალოდ, იმავე საკვების მიღების რეაქციის მეორე ეტაპია: საჭმელი მიიღე – გაიწიე.

### კბილის პროთეზი, საქორწინო ბეჭედი და... მედალი „დედის დიდება“

**ხშირია შემთხვევები, როცა საძოვრიდან ძროხა, ხარი ან კამეჩი მოულოდნელად დაუძლურებული ბრუნდება, რის მიზეზს ვეტერინარები ვერაფრით ადგენენ, ამიტომ ასეთი პირუტყვი უმეტესად სასაკლაოსთვისაა განწირული. არადა, ცნობილია, რომ რქოსანი პირუტყვი საკვებს თავიდანვე კი არ ღეჭავს, არამედ ყლაპავს, შემდგომ კი საკვები მასა კუჭიდან დრუნჩის ღრუში ბრუნდება და მერე კვლავ კუჭში ჩადის, ამასთან, საკვებთან ერთად ცხოველები ძალიან ხშირად სხვადასხვა სახიფათო საგნებს ყლაპავენ, რომლებიც შემდგომ კუჭიდან უკან აღარ ბრუნდებიან და პირუტყვს უდიდეს ტანჯვას აყენებენ. მათი მოცილება კი უმარტივესი ოპერაციით შეიძლება, მაგრამ საამისოდ სწორი დიაგნოზის დასმაა საჭირო.**



მოსკოვის ვეტერინარული აკადემიის პროფესორი ვლადიმერ ტარასოვი წერს, რომ მრავალწლიანი მოღვაწეობის მანძილზე მას ამ ტიპის 220 ოპერაციის გაკეთება მოუწია, რის შედეგად პირუტყვის კუჭებიდან ამოიღო: 1824 ლურსმანი, 612 მავთულისა და 363 ლითონის ბასრი ნაჭერი, 151 შურუპი, 123 საკერავი და 104 პატეფონის ნემსი, 39 რუბლის თანხის ვერცხლის და 17 რუბლის თანხის სპილენძის მონეტა, 86 გასაღები, 66 ქინძისთავი, 56 შუშის ნატეხი, 49 პლომბი, 28 ქალის თმის სამაგრი, 26 თმის შესაკრავი, 23 რკინის ბურთულაკი, 17 ღილი, 9 კედლის საათის რგოლაკი, 2-2 ჩაის კოვზი, ტუჩის პომადა და საათის ყუთი, ასევე თითო-თითო კბილის პროთეზი, სათვალე, კაპრონის ძუა, ქორწინების ბეჭედი და... მედალი „დედის დიდება“.

### დედამიწის ქერქის თანატოლები



**ავსტრალიის მთიან მხარეში, ნერიერიში, მეცნიერებმა უძველესი კლდოვანი ქანები აღმოაჩინეს. გეოლოგებს მიაჩნიათ, რომ ეს ქანები 4200 მილიონი წლის წინათ წარმოიშვნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი სულ მცირე 300 მილიონი წლით უფრო ადრინდელები არიან, ვიდრე მანამდე ოდესმე აღწერილი უძველესი ქანები.**

მეცნიერთა აზრით, დედამიწა დაახლოებით 4700 მილიონი წლის წინათ „დაიბადა“, ამდენად გამოდის, რომ ავსტრალიური კლდეები ლამის დედამიწის ქერქის თანატოლები არიან.

### თუ თავი არ მოგბეზრებიათ...



**ცნობილი ჰოლივუდელი კომიკოსი ჯონ კერი თანამემამულეებს რჩევას აძლევს, თუ როგორ უნდა გადავიდნენ ქუჩაზე სხვადასხვა ქვეყანაში ისე, რომ საკუთარ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხე არ შეუქმნან.**

„საამისოდ იტალიაში ქუჩაზე უნდა გადახვიდეთ რომელიმე ქერათმიან ქალბატონთან ხელიხელჩაკიდებული. ინგლისში ქუჩის გადაკვეთისას ეცადეთ თან გყავდეთ ძაღლი. ამერიკაში სრული უსაფრთხოებისთვის თან სამ ბავშვზე ნაკლები არ უნდა გახლდეთ, გერმანიაში აუცილებლად უნდა გეცვათ გენერლის მუნდირი, ხოლო საფრანგეთში, თუკი თავი ჯერაც არ მოგბეზრებიათ, ქუჩის გადაკვეთაზე საერთოდ უნდა აიღოთ ხელი“.

## დღის კალენდარი

### 1 აპრილი

**დიდი ხუთშაბათი. ხსენება საიდუმლო სერობისა. მოწამეთა ქრისანთესი და დარიასი (283წ და მათთანა მოწამეთა: კლავდი ტრიბუნისა, მეუღლისა მისისა ილარიასი, და ძეთა მათთა იასონისა და მავრისა, დიოდორე ხუცისა და მარიანე დიაკონისა (283წ; მოწამისა პანქარესი (დაახლ. 302წ.**



ამოდის 05.45
ჩადის 18.26



ამოდის 21.38
ჩადის 06.31

### დაიბადნენ:

**1431 – ფრანსუა ვიიონი,** ფრანგი პოეტი. გარდაიცვალა 1463 წელს.

**1578 – უილიამ ჰარვეი,** ინგლისელი ექიმი, მეცნიერი. გარდაიცვალა 1657 წელს.

**1697 – ანტუან ფრანსუა პრევო დ'ექსილი,** ფრანგი მწერალი. გარდაიცვალა 1763 წელს.

**1809 – ნიკოლაი გოგოლი,** რუსი მწერალი, დრამატურგი. გარდაიცვალა 1851 წელს.

**1815 – ოტო ფონ ბისმარკი,** გერმანიის სახელმწიფო მოღვაწე, პირველი რაიხსკანცლერი. გარდაიცვალა 1898 წელს.

**1866 – ფერუჩო ბუზონი,** იტალიელი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი და პედაგოგი. გარდაიცვალა 1924 წელს.

**1873 – სერგეი რახმანინოვი,** დიდი რუსი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი. გარდაიცვალა 1943 წელს.

**1928 – კარლო საკანდელიძე,** თეატრისა და კინოს მსახიობი.

**1929 – მილან კუნდერა,** ჩეხი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, პოეტი, ესეისტი.

**1937 – ზურაბ ქაფიანიძე**, კინოსა და თეატრის მსახიობი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

### გარდაიცვალნენ:

**1906 – კოსტა ხეთაგუროვი,** ოსი პოეტი.

**1910 – მიხაილ ვრუბელი,** რუსი მხატვარი.

**1968 – ლევ ლანდაუ,** ფიზიკოს-თეორეტიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

### მოვლენები:

**1778 წელი** – ნიუიორკელმა ბიზნესმენმა ოლივერ პოლოკმა მოიგონა დოლარის ნიშანი.

**1904 წელი** – ჟენევაში გაიმართა ქართული პოლიტიკური მიმდინარეობების I კონფერენცია, რომელზეც საბოლოოდ ჩამოყალიბდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია.

**1918 წელი** – თურქეთის ჯარმა ბათუმი დაიკავა.

**1979 წელი** – ირანი ისლამურ რესპუბლიკად გამოცხადდა.

**მედიანიუსი**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7327 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3887 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6599 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.8354 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.3765 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1570 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1722 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1426 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5386 ლარი |



**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

**ავად გახდა 104 წლის ებრაელი. იგი 108 წლის მეგობარმა ინახულა.**

**– როგორა ხარ, აბრამ, თავს როგორ გრძნობ?**

**– ცუდადა ვარ, მოშე, ცუდად. ალბათ, მომიწევს ღმერთის წინაშე წარდგომა!**

**– მისმინე, ძმაო. თუ იგი შეგეკითხება, როგორ არის და რას აპირებს იქ მოშეო, იცოდე, საერთოდ არ გინახივარ და ჩემზე არაფერი გსმენია.**



* * *

**მაფიისა გეშინოდეს – მთავრობაში არ იარო.**

* * *

**მითხარით, თოვლის ბაბუა არსებობს? თორემ დედა ამბობს, არსებობსო, ცოლი კი სიცილით კვდება.**

* * *

**ბედნიერება – ეს ის არის, როდესაც წარსული არ განაღვლებს, აწმყო არ გძაბავს, მომავალი კი არ გაცოფებს.**

## კადრი

### სხვისი შვილები არ არსებობს

**ეს ლომის ბოკვერი სულ რამდენიმე დღისაა. მისი დედა მშობიარობის დროს მოკვდა, თავად კი გადარჩა – ერთადერთი მისი მთელი მემკვიდრეობიდან. კრასნოიარსკის ზოოპარკის თანამშრომლებმა მას დედინაცვალი გამოუნახეს – ნადირთა მომავალ მეფეს დედობას უწევს ჩვეულებრივი ეზოს ძაღლი. მსგავსი ამბავი მოხდა ტაილანდში. მხოლოდ იქ სხვისი შვილები – პატარა გოჭები – იშვილა დედალმა ვეფხვმა.**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.